საქართველოს რესპუბლიკა

www.sakresp.ge



იმისთანა წმინდა საქმეში, რომელიც ბოქდ-ვუტი სიფცვაა, ფაფიოლებით და ჯოხებით ბუტ-თის გაფანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

ოთხშაბათი, 28 დეკემბერი. 2016 წ. №243 (8135), გამოცემის 98-ე წელი | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 50 თეთრი.

რამაზ საყვარელიძე:

რატომ ებღაუჭებიან საპარლამენტო რესპუბლიკას, როცა ქვეყანას პოლიტიკური პარტიების წარმოშობის უნარი არა აქვს?!

③④

ANNO 1917

ჟოლიოკოჩი მიმოხილვა

⑥

კონსტანტინე გამსახურდია

როდემდე გაგრძელდება რუსეთ-თურქეთის პოლიტიკური ფლირტი?

როგორია მოსკოვისა და თბილისის ინტერესები?

⑧

გალის რაიონი: განათლება გამყოფ ხაზთან

⑪

რვა წლის შემდეგ ენგურის ხიდზე ავტობუსით უფასო მგზავრობა აღდგა

წმინდა სინოდი: არ აჰყვეთ პროვოკაციებს!

სინოდის სხდომის გასვლიდან რამდენიმე დღეში საპატრიარქომ სხდომის ოქმი გამოაქვეყნა. სხდომის ოქმის ბოლოს სინოდი ამბობს, რომ მღვდელმთავრებმა მოისმინეს ინფორმაცია „მასმედიასა და სოციალურ ქსელში ეკლესიასთან დაკავშირებით გავრცელებული სხვადასხვა სახის ტექსტებისა და ქადაგებების თაობაზე“.

წმინდა სინოდმა მიიღო ასათი მიმართვა:

„როგორც ადრე, ბოლო დროსაც, მასმედიის საშუალებებით საეკლესიო საკითხებზე არაერთი ცილისმწამებლური სტატია გამოქვეყნდა, რომელთაც მიზანმიმართული ხასიათი ჰქონდა. ამას დაემატა სასულიერო პირების მიერ საჯარო სივრცეში გაკეთებული შეფასებები და ურთიერთბრალდებები, რამაც საზოგადოებაში სამართლიანი უარყოფითი განწყობა და გულისტკივილი გამოიწვია.

ისტორიის მანძილზე არაერთი მაგალითი გვაქვს იმისა, თუ როგორი მწვავე დებატები იმართებოდა ამა თუ იმ საეკლესიო საკითხთან დაკავშირებით, თუმცა ეს თემები ეხებოდა არა პირად ურთიერთობებს, არამედ დოგმატურ-სარწმუნოებრივ პრობლემებს. სარწმუნოებრივ საკითხებზე მწვავე კამათი ბუნებრივი მოვლენაა, მაგრამ ასეთი თემებიც და სხვა საკითხებიც, პირველ რიგში, ეკლესიის წიაღში უნდა შეფასდეს და მხოლოდ ამის შემდეგ უნდა მიეწოდოს საზოგადოებას, რადგან მოქალაქეები რეალურად არსებულ ვითარებას ნაკლებად იცნობენ და ეს მათთვის შეიძლება გახდეს დაბრკოლების საგანი და ცოდვის მიზეზი.

იმ ძალებს კი, რომლებიც ეკლესიის საზიანოდ შეგნებულად მოქმედებენ, სურთ, რომ დაძაბულობა საჯარო სივრცეში გაღრმავდეს და დაპირისპირების კერები გამრავლდეს.

ამიტომაც მივმართავთ სასულიერო პირებს და მრევლს, გამოიჩინონ კეთილგონიერება და არ აჰყვნენ პროვოკაციებს“, — ნათქვამია სინოდის დადგენილებაში.

ნაცების პოლიტსაბჭოს სხდომა ჩაიშალა

„ნაციონალური მოძრაობის“ პოლიტსაბჭოს სხდომა კვორუმის არარსებობის გამო ჩაიშალა. სხდომას პოლიტსაბჭოს 30 დეპუტატი უნდა დასწრებოდა. „ნაციონალური მოძრაობის“ პოლიტსაბჭოში სულ 60 წევრია.

პოლიტსაბჭოს ჩაშლის შესახებ ოფიციალური განცხადება, „ნაციონალური მოძრაობის“ წევრებს არ გაუკეთებიათ.

ამასთან, „ნაციონალური მოძრაობის“ პოლიტსაბჭოს წევრთა ნაწილმა გუშინ განცხადება გაავრცელა, სადაც აღნიშნული იყო, რომ პოლიტსაბჭოს მუშაობაში მონაწილეობას მიუღებლად მიიჩნევდნენ.

„იმედმა“ „მაესტრო“ და GDS-ის ნაწილი შეისყიდა

ტელეკომპანია „იმედი“ ოფიციალურ განცხადებას ავრცელებს, რომელშიც ნათქვამია, რომ მოლაპარაკებები წარმატებით მიმდინარეობს.

ტელეკომპანია „იმედსა“ და „მაესტროს“ შორის მოლაპარაკებები წარმატებით დასრულდა. რაც შეეხება GDS-ს, ჯიდიესთან მოლაპარაკებები მისი ნაწილობრივ შესყიდვასთან დაკავშირებით ისევ გრძელდება. ტელეკომპანია იმედში იმედს გამოთქვამენ, რომ ეს მოლაპარაკებებიც წარმატებით დასრულდება.



ერეკლე საღლიანი

⑤ — სულის ექიმი

სპორტის სამინისტროს რჩეულნი

ძალოსანი ლაშა ტალახაძე საქართველოში პირველია

⑩

გიორგი კვირიკაშვილი:
საქართველო გახდება მეცნიერების, კვლევის და განათლების რეგიონული ჰაბი!

საქართველოს მთავრობის ოთხპუნქტიანი გეგმის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ნაწილი — განათლების რეფორმა იწყება. რეფორმის პრეზენტაციას, მთავრობის წევრებთან ერთად, საქართველოს პრემიერ-მინისტრი დაესწრო. გიორგი კვირიკაშვილმა ღონისძიების დამსწრეთ — პედაგოგებს, პროფესორ-მასწავლებლებს, უმაღლესი სასწავლებლების რექტორებს, არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებს მისასალმებელი სიტყვით მიმართა და მათ, როგორც რეფორმის მონაწილეებს, წარმატებები უსურვა.

პრემიერ-მინისტრის განმარტებით, განათლების რეფორმა მთლიანად ორიენტირებულია ქვეყნის სწრაფ განვითარებაზე.

„განათლება არის თავი და თავი განვითარებისა და პროგრესის. განათლების სისტემის მნიშვნელოვანი განვითარების გარეშე პროგრესი ქვეყანაში არ გვექნება. ასი პროცენტი იმ პრობლემების გადაჭრისა, რომელიც ჩვენს წინაშე დგას, არის განათლების სისტემაში. სწორედ ამიტომ, ოთხპუნქტიანი გეგმის ნომერ პირველ პრიორიტეტად დასახლებულია განათლების სიტემის განვითარება და რეფორმა. განათლების სისტემა უნდა იყოს დაფუძნებული პროგრესზე, განვითარებაზე, თავისუფალი და ბედნიერი მოქალაქის მიზანზე. მინდა, მთელი მთავრობის სახელით და არა მხოლოდ მთავრობის, არამედ მთელი ჩვენი პოლიტიკური და საპარლამენტო გუნდის სახელითაც გამოვთქვა სრული მხარდაჭერა იმ რეფორმის, რომელიც წამოვიწყეთ. ვუსურვებ წარმატებას მინისტრს! სანდრო არის ადამიანი, რომელიც დარწმუნებული ვარ, რომ წარმატებით გაართმევს თავს ამ უმნიშვნელოვანეს ამოცანას და განათლების სისტემა, რომელსაც შევქმნით, იქნება დაფუძნებული უახლეს ტექნოლოგიებზე, საქართველოს რეგიონებში მაღალი ხარისხის განათლების წვდომაზე, მასწავლებლის განვითარებაზე, ჯანსაღი ცხოვრების წესზე,“ — განაცხადა პრემიერმა.

გიორგი კვირიკაშვილმა ხაზი გაუსვა მთავრობის ამბიციურ გეგმას — **საქართველო გახდეს უმაღლესი განათლების, მეცნიერების და კვლევის ცენტრი რეგიონში. მან იმედი გამოთქვა, რომ ხელისუფლება ამ გეგმას წარმატებით განახორციელებს. მისივე თქმით, ქუთაისის საუნივერსიტეტო ქალაქის პროექტი თვისობრივად შეცვლის ქვეყანაში განათლების შესაძლებლობებს.**

პატრიარქი ექიმების მეთვალყურეობის ქვეშ რჩება

საპატრიარქოს ჯანდაცვის დეპარტამენტის ინფორმაციით, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ჯანმრთელობის მდგომარეობა უმჯობესდება, თუმცა ის ამ დრომდე ექიმების მეთვალყურეობის ქვეშ რჩება.

„პატრიარქი საპატრიარქოში იმყოფება და სპეციალისტების მუდმივი მეთვალყურეობის ქვეშაა, რათა ყველაფერმა მშვიდად ჩაიაროს. დინამიკა დადებითია. მდგომარეობა უმჯობესდება და სპეციალისტების დაკვირვების ქვეშ არის“.

გიორგი კობახიძე: კონსტიტუციაში ყველაზე მეტი ცვლილება პრეზიდენტის ნაწილს სჭირდება

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე აცხადებს, რომ კონსტიტუციაში ყველაზე მეტი ცვლილება პრეზიდენტის ნაწილს სჭირდება — **„ეს თავი ყველაზე მეტად საჭიროებს ცვლილებას, იქიდან გამომდინარე, რომ არ არის გამიჯნული კომპეტენციები სახელმწიფოს მეთაურს და აღმასრულებელ ხელისუფლებას შორის“,** — განაცხადა კობახიძემ სტუდენტებთან შეხვედრისას.

საპრეზიდენტო არჩევნებზე საუბრისას, ირაკლი კობახიძემ განმარტა, რომ დემოკრატიულია სახელმწიფოს მეთაურის როგორც პირდაპირი, ასევე არაპირდაპირი არჩევის წესი, თუმცა **„სამწუხაროდ, ხშირად ხდება კონკრეტულ გვარ-სახელებთან საკონსტიტუციო ცვლილებების დაკავშირება, როგორც პოზიტიური,ასევე ნეგატიური ფორმით, რაც არასწორია“.**

„დაუშვებელია, როგორც კონსტიტუციაში ცვლილების შეტანა კონკრეტულ პერსონაზე მორგებით, ასევე, დაუშვებელია კონკრეტულ ცვლილებებზე ტაბუს დადება კონკრეტულ გვარ-სახელებზე მითითებით“, — განაცხადა ირაკლი კობახიძემ.

სასამართლო ხელისუფლება გარკვეულ ცვლილებებს მოითხოვს!

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ ირაკლი კობახიძემ შსს-ს აკადემიაში საჯარო ლექცია გამართა და სტუდენტებს საქართველოს კონსტიტუციისა და კონსტიტუციონალიზმის ისტორიის შესახებ ესაუბრა. პარლამენტის თავმჯდომარე მიიჩნევს, რომ გარკვეულ ცვლილებებს მოითხოვს სასამართლო ხელისუფლება, რათა უზრუნველყოფილი იყოს სასამართლოს დამოუკიდებლობა და ინსტიტუციური გაძლიერება.

„არის მთელი რიგი აქტუალური საკითხებისა, რომელიც განსაკუთრებული განხილვის საგანი გახდება საკონსტიტუციო რეფორმის განხორციელების პროცესში. ეს პირველ რიგში არის საარჩევნო საკითხები. დღეს გვაქვს ჩვენ ერთგვარი შერეული მოდელი, რაც გარკვეულ ფორას აძლევს არჩევნებში გამარჯვებულ პარტიას. ამ გარემოებაზე მითითებით, არის მოთხოვნა საარჩევნო სისტემის ცვლილებაზე და ეს საკითხი ბუნებრივია, უნდა გახდეს მსჯელობის საგანი სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიის ფორმატში. როდესაც საუბარია საარჩევნო სისტემაზე, აქ დღის წესრიგში დგას ორი ძირითადი ლეგიტიმური ინტერესი — სისტემის დემოკრატიულობა და პლურალიზმის ინტერესის მაქსიმალურად წინ წამოწევა, ხოლო მეორე ლეგიტიმური ინტერესი არის სტაბილური მთავრობის უზრუნველყოფა“, — განაცხადა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ.

საქართველოს პრეზიდენტმა 175 მსჯავრდებული შეიწყალა

საქართველოს პრეზიდენტმა შეწყალების აქტი გამოსცა და 175 მსჯავრდებული შეიწყალა. შეწყალების კომისიის თავმჯდომარის ზვიად ქორიძის განცხადებით, შეწყალებულთაგან 122 დღესვე დატოვებს სასჯელაღსრულების დაწესებულებას, 53-ს კი სასჯელი შეუმცირდა. შეწყალებულებს შორის 14 ქალია, აქედან 12 დატოვებს სასჯელაღსრულების დაწესებულებას, 2-ს კი სასჯელი შეუმცირდა. ქორიძის თქმით, შეწყალების კომისიამ 13 დეკემბრიდან 20 დეკემბრის ჩათვლით, 1142 პირის საქმე განიხილა.

საქართველო მზად არის, რუსეთს „ტუ-154“-ის ავიაკატასტროფის მსხვერპლთა ძებნაში დაეხმაროს!

საქართველო მზად არის, რუსეთს ტუ-154-ის ავიაკატასტროფის მსხვერპლთა ძებნაში დაეხმაროს, თუ **რუსული მხარე შესაბამისი თხოვნით მიმართავს,** — აცხადებს რუსეთთან ურთიერთობების საკითხებში საქართველოს პრემიერ-მინისტრის სპეციალური წარმომადგენელი ზურაბ აბაშიძე.

„რუსულ მხარეს ასეთი თხოვნით არ მოუმართავს. ჰუმანიტარული დახმარების აღმოჩენა ნებისმიერი სახელმწიფოს ვალდებულებაა. ჩვენ გვაქვს გამოცდილება, როდესაც შესაბამისი სამსახურები მონაწილეობდნენ ყაზბეგის რაიონში მეწყერის დროს მთებში დაკარგული ადამიანების ძებნაში. ასე რომ, ასეთი გამოცდილება არის და, როდესაც არსებობს აუცილებლობა, შესაბამისი სამსახურები ერთვებიან. თუმცა, ვიმეორებ, ამ შემთხვევაში ჩვენთვის ასეთი თხოვნით არ მოუმართავთ“, — განაცხადა აბაშიძემ.

გიგა ოთხოზორიას მკვლელობაში ბრალდებულს სასამართლომ 12 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა

ხურჩაში მოკლულ გიგა ოთხოზორიას მკვლელობაში ბრალდებულ 29 წლის რაშიდ კანჯიოღლის ზუგდიდის რაიონულმა სასამართლომ 12 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა. რუსეთის მოქალაქეს, ოკუპირებული ტყვარჩელის მკვიდრს განაჩენი მოსამართლემ დაუსწრებლად გამოუტანა. მასზე ოფიციალურ თბილისს ძებნა აქვს გამოცხადებული.

კანჯიოღლიმ გიგა ოთხოზორია 19 მაისს ხურჩაში, საოკუპაციო ხაზის მახლობლად, ცეცხლსასროლი იარაღით სასიკვდილოდ დაჭრა.

თურქეთი ბაქო-თბილისი-ყარსის სარკინიგზო მაგისტრალის მშენებლობის დასრულებას 2017 წლის 1 აპრილამდე გეგმავს

თურქეთმა ბაქო-თბილისი-ყარსის სარკინიგზო მაგისტრალის საკუთარი მონაკვეთის მშენებლობის დასრულების ვადები ვერ დაიცვა. როგორც აზერბაიჯანული მედია წერს, თურქეთის პრემიერ-მინისტრმა მშენებლობის დასრულების ვადა 2017 წლის 1 აპრილამდე უკვე გაახანგრძლივა.

აღსანიშნავია, რომ ბაქო-თბილისი-ყარსის რკინიგზის მშენებლობა 2007 წელს დაიწყო და პირველადი გეგმის მიხედვით სამ წელიწადში უნდა დასრულებულიყო. თუმცა როგორც ირკვევა, მისი ექსპლუატაციაში შესვლა გადავადდა. პროექტის მიხედვით, სარკინიგზო მაგისტრალის სიგრძე 826 კილომეტრია. აქედან საქართველოს ტერიტორიაზე, 254 კილომეტრი გაივლის.

„რატომ ებღაუჭებიან საპარლამენტო რესპუბლიკას, როცა ქვეყანას პოლიტიკური პარტიების წარმოშობის უნარი არა აქვს?!“

2016 წელი თავისი წარმატებებითა და წარუმატებლობებით მნიშვნელოვანი იყო საქართველოსთვის როგორც საშინაო, ასევე საგარეო პოლიტიკური წარმატების თვალსაზრისით. ექსპერტ რამაზ საყვარელიძის შეფასებით, 2016 წლის მნიშვნელოვანი მოვლენა გახლავთ ახალგაზრდა მაჟორიტარები, რომლებმაც დაამტკიცეს, რომ მაჟორიტარებს ირჩევენ ადამიანები არა მარტო დარიგებული ფქვილისა და შაქრის ტომრების გამო.

რამდენად საინტერესო იყო 2016 წელი და როგორი იქნება 2017 წლის საარჩევნო პროცესის პანორამა? წლის მნიშვნელოვან მოვლენებს რამაზ საყვარელიძე აფასებს.

— თუ გადავხედავთ 2016 წლის საშინაო და საგარეო პოლიტიკის შედეგებს, იყო წარმატება, მაგრამ იყო წარუმატებლობაც. რამდენად საინტერესო იყო 2016 წელი?

— 2016 წელი ძალიან საინტერესო წელი იყო. არ მეგონა, თუ ასეთი წელი გამოვიდოდა. გარკვეული თვალსაზრისით პოლიტიკურად პარადოქსული წელიც არის. ერთი მხრივ, ყველაფერი დეჟავიუს პრინციპზე აიგო. სახელისუფლებო პარტია აკეთებდა იმას, რასაც 2012 წელს, ანუ გაახსენა ხალხს „ნაციონალური მოძრაობა“ და ამ დაპირისპირებაზე ითამაშა.

მეორე მხრივ, ყველა ოპოზიციური პარტია ნაცმოძრაობის ჩათვლით, აკეთებდა იმას, რასაც საქართველოს უახლესი ისტორიის მანძილზე აკეთებდნენ პოლიტიკური პარტიები — ხელისუფლების შეცდომების ხარჯზე ხმების მიღების ტიპური სტრატეგია.

— განსაკუთრებით ამ სტრატეგიას „ნაციონალური მოძრაობა“ მიმართავდა...

— სხვა პარტიებმა დაიწყეს თამაში იმაზე, რომ არც ერთი ვარგა, არც მეორე და მე ვარ მესამეო. „ეს მე ვარ მესამეს“ თამაში, ადრეც იყო. ირინა სარიშვილი იძახდა, ჩვენ ვართ ქვეყანაში მესამე ცენტრიო. რაც მთავარია, ძველებური პრინციპით მუშაობდა ამომრჩეველი. მას შეეშინდა ნაცმოძრაობის დაბრუნების და ხმები მისცა „ქართულ ოცნებას“. ძველი სცენარების ამ ნაკრებში, რაც 2016 წლის არჩევნებში დაგროვდა, აბსოლუტურად ახალი შედეგი მივიღეთ. კი, გაიმარჯვა „ქართულმა ოცნებამ“, ოპოზიციაც გავიდა, მაგრამ ეს არ იყო სიახლე. სიახლე იყო ის, რომ, ფაქტობრივად, დაიშალა მთელი ქართული ოპოზიციური სპექტრი. ერთადერთი პარტია, რომელმაც ახალი სახეები მიიღო და გაითავისა, არის „ქართული ოცნება“. დანარჩენ პარტიებში ვხედავთ თაობათა ბრძოლას, დაპირისპირებას, ერთი თაობის საერთოდ წასვლას პოლიტიკიდან.

დღეს, ფაქტობრივად, არსებობს სახელისუფლებო პარტია, იმდენად, რამდენადაც სახელისუფლებო პარტიაა. არ ვიცით ხელისუფლებაში არყოფნის შემთხვევაში შეინარჩუნებდა თუ არა პარტიულობას. სხვა პარტიები რომ პარტიები აღარ არიან, მათ შორის „ნაციონალური მოძრაობა“, დღეს უკვე სახეზეა.

— ანუ ყველაფერი თითქოს ნაცნობი სცენარით მიდიოდა, მაგრამ მივიღეთ აბსოლუტურად ახალი, ანუ, პარტიების დაშლა. თავისთავად საინტერესოა, რატომ გაქრნენ პოლიტიკური პარტიები, ამოწურეს რესურსი?

— სწორედ იმიტომ, რომ ამ პარტიებს „ნაციონალური მოძრაობის“ ჩათვლით, დიდი იმედი ჰქონდათ, რომ გაიმარჯვებდნენ. იმდენად დიდი იყო იმედი, რომ იმედგაცრუება კატასტროფის ტოლი აღმოჩნდა.

ხელისუფლება დარჩა ოპონენტის გარეშე, რაც თავისთავად ძალიან ცუდია პოლიტიკური პროცესისთვის...

— არსებობს ქვეყანაში რეალური ოპონენტი? „ნაციონალური მოძრაობიდან“ თავიანთი პოზიციის გამართული და ლოგიკური არგუმენტაცია გინახიათ? მაგალითად, ქვეყანაში კრიზისია და უდავოა, ეკონომიკურად მძიმე მდგომარეობაა, ოპოზიცია ითხოვს საბიუჯეტო სახსრების შემცირებას. კი ბატონო, დაიწყო ახლა შემცირება, ზოგმა რეფორმა დაარქვა, ზოგმა ოპტიმიზაცია, მაგრამ მიდის შემცირება, ახლა ეს ოპოზიცია იძახის, რომ ხალხს სამუშაო ადგილებს შეჰპირდნენ და ქუჩაში ყრიანო. შეიძლება — „ჭრელო პეპელავ, ნურც მოფრინდები, ნურც გაფრიდებიზე“ იყოს პოლიტიკა მუდამ აგებული?

ფაქტია, კრიტიკა არადამაჯერებელია, ვერ ხვდებიან, ამომრჩეველი რას ფიქრობს?

— ვერ გეტყვით. ზოგადი ფრაზაა მხოლოდ, რომ მოსახლეობას უჭირს და ამას იძახის „ნაციონალური მოძრაობა“, რომელმაც ციხეში ამოალპო სწორედ ის ადამიანები, ვისზედაც დღეს ზრუნავს. ამიტომ, მათ მთელ ამ რიტორიკას ფასი ეკარგება. ოპოზიცია უნდა იძლეოდეს ფაქტებს, ახალ პრინციპებს და ხედვებს, რომელიც არსებულიდან განსხვავებული იქნება. რა არის განსხვავებული გარდა იმისა, რომ რუსეთთან მოლაპარაკების კუთხით ზოგიერთი ოპოზიციური პარტია სხვა ინტონაციით ლაპარაკობს? პრინციპში, რუსეთთან ურთიერთობის მოგვარებაზე „ქართული ოცნებაც“ ლაპარაკობს, ანუ იმას, რასაც უნდა იძლეოდეს პოლიტიკური პარტია — ახალ პოლიტიკურ გზას, არც ერთი პარტია არ იძლევა.

— გამოდის, რომ უნარი არა აქვთ?

— აი, ამ სიტუაციაში სრულიად გაუგებარია, რატომ არიან ჩაჭიდებული საპარლამენტო რესპუბლიკას, როცა ქვეყანას პოლიტიკური პარტიების წარმოშობის უნარი არა აქვს. ამდენი ხანია ამერიკის პოლიტიკაში არსებობენ დემოკრატები და რესპუბლიკელები, მაგრამ მაინც განსხვავებულ სტრატეგიულ ნაბიჯებს დგამენ. აი, ეს განსხვავება თუ არ არის, ისე რა აზრი აქვს პარტიების შექმნას, მარტო სახელები?!

— სოციოლოგი ვალერიან გორგილაძე ამბობს, რომ ამ პროცესში ოპოზიციამ სრული კაპიტულაცია გამოაცხადა და თავისი უსუსურობა აღიარა...

— აბსოლუტურად ვეთანხმები, რადგან მათი განაცხადი ნიშნავდა კაპიტულაციას. ავიღოთ იგივე რესპუბლიკური პარტია, ყველაზე ძველ პარტიას ეძახიან თავს. ეს ნიშნავს, რომ მასში უფრო მეტი უნდა იყოს პარტიული ტენდენცია, ვიდრე სხვა პარტიებში. მართლაც, რომ ერთი ლიდერი არ ჰყავდა, 5 კაცი ცვლიდა ერთმანეთს ლიდერის პოსტზე. მაგრამ, აი, ამ ტრადიციულმა პარტიამაც უცბად გააკეთა წმინდა ქართული მოვლენა, თავის პარტიას მიაწერა „უსუფაშვილი, რესპუბლიკური პარტია“, ანუ სახელი და გვარი თუ არ მიაწერე პარტიას, ხალხი ვერ ხვდება ვის აძლევენ ხმას. თითქმის ყველა პარტიას ლიდერის სახელი აწერია: აზრი აქვს, რომ სახელებად და პიროვნების ჯგუფებად ჩამოყალიბებულ პარტიებს პოლიტიკური სპექტრი ვუწოდოთ? თუ ესენი არიან პოლიტიკოსები, თავთავიანთი გუნდებით და მეტი არაფერი, რომელთაც უნდათ ხელისუფლებაში მოსვლა, მაგრამ რატომ უნდათ, ეგ არ იციან.

— 2016 წელს საქართველოს პოლიტიკური წარმატება ჰქონდა დასავლეთთან ურთიერთობაში, ამოქმედდა შეჩერების მექანიზმი და უკვე 2017 წლის დასაწყისში საქართველოს მოქალაქეები უვიზოდ იმოგზაურებენ შენგენის ზონაში. თუმცა, საერთაშორისო დონეზე საქართველოს მოსაგვარებელი აქვს სხვა მნიშვნელოვანი საკითხებიც. რამდენად საინტერესო იყო 2016 წელი ამ კუთხით ქვეყნისთვის, რომელსაც სათავეში ჩაუდგა კვირიკაშვილი, რომელიც როგორც პოლიტიკური ფიგურა მიღებული აღმოჩნდა დასავლეთისთვის?

იხ. 4 გვ.

პედაგოგების ანაზღაურება მნიშვნელოვნად გაიზარდა!

განათლების მინისტრის ალექსანდრე ჯეჯელავას განცხადებით, სამინისტროს პრიორიტეტი პედაგოგების ხელფასების გაზრდა იქნება. როგორც ჯეჯელავამ განაცხადა, საამაყოა, რომ ბოლო წლებში მასწავლებელთა ანაზღაურება გაიზარდა.

„მიხარია, რომ ბოლო წლების განმავლობაში შეგვიძლია ვიამაყოთ, რომ პედაგოგების ანაზღაურება მნიშვნელოვნად გაიზარდა, შეგვიძლია, დავპირდეთ პედაგოგებს, რომ შემდგომში მათი ანაზღაურების გაზრდა ჩვენი პრიორიტეტი იქნება,“ — აღნიშნა ჯეჯელავამ.

* * *

განათლებისა და მეცნიერების მინისტრი თვლის, რომ მოსწავლეები ძალიან დატვირთულები არიან და მე-7, მე-8, მე-9 კლასებში მათ მეტი თავისუფალი დრო უნდა ჰქონდეთ. ალექსანდრე ჯეჯელავას თქმით, მაღალ კლასებში მოსწავლეები უფრო მეტად უნდა იყვნენ ორიენტირებული აკადემიურ მოსწრებაზე, რაც მინისტრის შეფასებით, მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს მათ შედეგებს და უფრო მეტად მოამზადებს ზრდასრული ცხოვრებისთვის. როგორც ჯეჯელავამ აღნიშნა, განათლების რეფორმის პროგრამის მოსამზადებლად ის ასეულობით პედაგოგს შეხვდა და რეფორმაც სწორედ მათთან, მოსწავლეებსა და მშობლებთან შეჯერებით მომზადდა. ჯეჯელავას თქმით, პირველიდან მეექვსე კლასამდე ახალი ეროვნული გეგმა უკვე არსებობს, მაღალი კლასების სასწავლო გეგმები კი უახლოეს მომავალში დამტკიცდება.

მიხეილ გიორგაძე: მაღალი თანამდებობის პირების საშტატო ერთეულებიც შემცირდება

მთავრობის ინიციატივის მიხედვით სამინისტროებში დაწყებული ოპტიმიზაციის პროცესი იანვარში დასრულდება. ამის შესახებ განცხადება საქართველოს კულტურის მინისტრმა გააკეთა. მიხეილ გიორგაძის თქმით, ოპტიმიზაცია რიგით თანამშრომლებთან ერთად შეეხება მაღალი თანამდებობის პირებსაც.

„საშტატო, პროგრამული თუ ადმინისტრაციული ოპტიმიზაცია იქნება თავად ცენტრალურ აპარატში, ყველა ამ მიმართულებით ხდება რეორგანიზაცია. რიგითი თანამშრომლების ხარჯზე ეს მხოლოდ არ მოხდება. საკმაოდ მაღალი თანამდებობის პირების საშტატო ერთეულების რეორგანიზაცია მოხდება და იანვარში დავასრულებთ ამ პროცესს,“ — განაცხადა კულტურის მინისტრმა მიხეილ გიორგაძემ.

პარლამენტი საგარეო პოლიტიკის შესახებ რეზოლუციას მიიღებს!

პარლამენტი საგარეო პოლიტიკის შესახებ რეზოლუციის მიღებას გეგმავს. უალტერნატივო პრიორიტეტად სახელდება ევროკავშირთან ინტეგრაცია. დოკუმენტის მიხედვით, მთავარ მოკავშირედ დასახელებულია აშშ. ასევე, საუბარია რუსეთთან რაციონალურ პოლიტიკაზე.

მმართველი გუნდის წევრების განცხადებით, ამ გზავნილების დეკლარაცია აუცილებელია.

საგარეო პოლიტიკის საკითხებზე რეზოლუციის ინიცირებას პრეზიდენტი მხარს უჭერს

პარლამენტის მიერ ინიცირებულ საგარეო საქმეთა საკითხებზე რეზოლუციას პრეზიდენტი მიესალმება. როგორც პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსმა გიორგი აბაშიშვილმა განაცხადა , რეზოლუციის ტექსტის შინაარსზე მოგვიანებით გაკეთდება განცხადება.

თეა წულუკიანი: ბევრი ვიმუშავეთ, რომ პროკურატურა არ ყოფილიყო ვინმეს მიერ ხელწამოსაკრავი უწყება!

„ძალიან ბევრი ვიმუშავეთ იმაზე, რომ ადამიანის უფლებები ყოფილიყო კანონით უფრო მეტად დაცული“ — იუსტიციის მინისტრმა თეა წულუკიანმა გასული 4-წლიანი მუშაობა შეაჯამა და ისაუბრა მართლმსაჯულების რეფორმაზე.

— მართლაც ძალიან ბევრი ვიმუშავეთ იმაზე,რომ მართლმსაჯულება ყოფილიყო დეპოლიტიზირებული, რომ პროკურატურა ყოფილიყო უფრო ღირსეული უწყება, ვიდრე ჩვენ დაგვხვდა, როდესაც მოვედით ხელისუფლებაში და არ ყოფილიყო ხელწამოსაკრავი ვინმეს მიერ. ვფიქრობ, რომ ის კანონები, რაც შევიმუშავეთ, მიანიშნებს იმაზე, რომ ჩვენ ამ ინსტიტუტების მხრივ, ვინც მონაწილეობს მართლმსაჯულების შექმნაში, ვდგავართ განვითარების სწორ გზაზე...

მანანა კობახიძე შესაძლოა, პარლამენტიდან წავიდეს

„ქართული ოცნების“ წევრი, ყოფილი ვიცე-სპიკერი მანანა კობახიძე შესაძლოა, პარლამენტიდან წავიდეს. ეს იმ შემთხვევაში მოხდება, თუ მისი კანდიდატურა საპარლამენტო უმრავლესობამ საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლის ვაკანტურ თანამდებობაზე წარადგინა და დაამტკიცა. გავრცელებული ინფორმაციით, „ქართულ ოცნებაში“ შიდა კონსულტაციები კობახიძის კანდიდატურაზე უკვე მიმდინარეობს.

ქვეყნის გადარჩენის შანსი უნდა გამოვიყენოთ!

ღია წერილი საკონსტიტუციო ცვლილებების კომისიის ყველა წევრს

ქვეყნის ეკონომიკური სიდუხჭირის დაძლევა, სოციალურ უთანასწორობათა აღმოფხვრა, უმწვავესი დემოგრაფიული და ეკოლოგიური პრობლემების გადაწყვეტა, ქართული ენის გადარჩენის გადაუდებელი ღონისძიებების გატარება ბევრად იქნება დამოკიდებული თქვენს გონივრულ, ოპერატიულ საქმიანობაზე, რომელიც ფაქტიურად ახალი კონსტიტუციის შექმნის ტოლფასია. საქვეყნოდ აღიარებული პროფესიონალების აზრით, საქართველოს კონსტიტუცია ხელახლაა დასაწერი, რომელსაც სამ-ოთხთვიანი ვადა არ ეყოფა. ვუერთდები გარკვეულ სპეციალისტთა ჯგუფის მოთხოვნას, რომ ქვეყანამ პირველ რიგში უნდა მიიღოს ობიექტური არჩევნების ჩატარების უზრუნველმყოფი საკანონმდებლო აქტები. აღნიშნულიდან გამომდინარე, ამ მიმართებით თქვენს მიერ ჩატარებული საქმიანობის შედეგების შეფასების კრიტერიუმი უნდა იყოს მისი სამართლიანობისა და ობიექტურობის მიღწევა და მასში მოსახლეობის მაქსიმალური ჩართულობა.

ამ მოთხოვნას თუ იზიარებთ, მაშინ გირჩევთ შეწყვიტოთ მსჯელობა არჩევნების მაჟორიტარული წესით ჩატარების გაუქმების თაობაზე. გაითვალისწინეთ სახელმწიფოებრივად მოაზროვნე პიროვნებათა გამონათქვამები, რომ: „დეპუტატი ხალხის წინაშე უნდა იყოს ანგარიშვალდებული და არა პარტიისა“; „პარტიულ-პროპორციული სისტემა საშუალებას აძლევს ამა თუ იმ პარტიის ლიდერს, ხალხის გვერდის ავლით, ხელისუფლებაში მოიყვანოს თავისთვის სასურველი ადამიანები, რომლებიც დამოკიდებული იქნებიან პირადად მასზე და არა ხალხზე“; „პარლამენტი უნდა იყოს ქვეყნის თვალსაჩინო სპეციალისტების (პიროვნებების) თავყრილობა, რომელიც მხოლოდ მაჟორიტარული სისტემით შეიძლება აირჩეს და არა პროპორციული სისტემით“ და სხვა.

სათანადო კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვის პირობებში ცალკეული გამონაკლისების გარდა, პარლამენტში ველარ შეაღწევენ პიროვნებები, რომელთაც კანონშემოქმედებასთან, არასდროს, არანაირი შეხება არ ჰქონიათ.

იფიქრეთ იმაზეც, როგორ ჩავაცხროთ პარლამენტში მოხვედრისადმი გაფეტიშებული დამოკიდებულება; რა გზებითა და საშუალებებით შეიძლება არჩევნების ობიექტურად ჩატარება და ამ პროცესში ცენტრალური საარჩევნო კომისიის (და არა ხმის დამთვლელი კომისიის) უფლება-მოვალეობათა მაქსიმალური გაზრდა იმ ვარაუდით, რომ ამა თუ იმ სუბიექტს და ეგრეთ წოდებულ პოლიტიკურ პარტიებს აეკრძალებათ წინასაარჩევნო კამპანიისათვის საკუთარი თანხების გამოყენება და შეწყდება მათი ნებისმიერი საქმიანობის დაფინანსება სახელმწიფო ბიუჯეტიდან.

კიდევ ერთხელ გავიმეორებ ჩვენს მიერ არაერთხელ გამოთქმულ პოზიციას, რომ გადასახედია პარლამენტართა იმუნიტეტისა და პრივილეგიების ჩამონათვალი, რომ მათ პენსიები და გამოგონილი დანამატები დაენიშნოთ მხოლოდ და მხოლოდ ქვეყანაში მოქმედი საყოველთაო განაკვეთებისა და წესების ფარგლებში.

საკონსტიტუციო კომისიის პატივცემულო წევრებო! გამოიყენეთ შანსი, რომ ქვეყანას თავი დაამახსოვროთ თქვენი პოზიტიური საქმიანობით, გირჩევთ შეხვდეთ მოსახლეობას, იმსჯელოთ მათთან ჩვენი წინადადებების რეალიზაციის ავკარგიანობაზე და ამის შემდეგ თავად დარწმუნდებით მათი გადაწყვეტის აუცილებლობაში, რაც უდაოდ აამაღლებს ხალხის კეთილგანწყობას დღევანდელი ხელისუფლებისადმი. მხოლოდ ამის შემდეგ გექნებათ სრული უფლება განაცხადოთ, რომ ერთხელ და სამუდამოდ მოაგვარეთ ამ უპირველეს და უსერიოზულეს პრობლემასთან დაკავშირებული მთავარი საკითხები.

ანზორ ბაბუხადია,
რიგითი ამომრჩეველი.

ფასების ზრდა გარდაუვალია?!

საძართველო ცუდ მაკროეკონომიკურ სივრცეშია, სადაც ეკონომიკის სიძლიერე წარმოადგენს ერთადერთ შესაძლებლობას მსოფლიო ეკონომიკაში „ადგილის დასამკვიდრებლად“.

აღნიშნულ ფონზე, საქართველოს მთავრობის რეფორმების გეგმები და ფისკალური პოლიტიკის ჩარჩოებით გათვალისწინებული გადაწყვეტილებები დამაიმედებელია, რაც გვაძლევს რწმენის საფუძველს, რომ ჩვენი ხელისუფლება შეძლებს საქართველოს ეკონომიკა გახადოს გლობალური გამოწვევებისადმი უფრო ძლიერი.

კითხვაზე, შეიძლება თუ არა აქციზის ზრდით ფასები არ გაიზარდოს? პასუხი ერთმნიშვნელოვანია: თეორიულად, ეფექტს განაპირობებს ის მექანიზმი, რომელიც განსაზღვრავს საბაზრო ფასს. ამასთან, გასათვალისწინებელია ბაზრის სტრუქტურა, ბაზარზე არსებული კონკურენცია, მოსახლეობის მსყიდველობითუნარიანობა და მოთხოვნის სიდიდე, საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა და სხვა.

ობიექტური შეფასებით, ფისკალური პოლიტიკის ფარგლებში, ნავთობპროდუქტებზე აქციზის ზრდა ნეგატიურად აისახება სოციალურ მდგომარეობაზე. ეკონომიკური გავლენით, ნავთობის ფასის აწევა არის კომპლექსური და მოიცავს ნეგატიურ შედეგებს.

თეორიულად, ეკონომიკა ასიმეტრიულად რეაგირებს ნავთობის ფასის ზრდაზე. პრაქტიკულად, ნავთობის ფასის ზრდა გამოიწვევს ფასების ზრდას, ვაჭრობის მოცულობის შემცირებას, ბიზნეს სუბიექტების სუფთა მოგების შემცირებას, ავტომობილის რეალიზების ტემპების დაცემას (თუმცა, ქვეყანაში არც ავტომობილს ვაწარმოებს, ხოლო ახალ ავტომობილებზე მოთხოვნა დაბალია). ასევე, გავლენას იქონიებს საინვესტიციო პროექტებზე .

აქვე უნდა გავითვალისწინოთ, რომ გაცვლითი კურსის 1%-იანი გაუფასურება იწვევს სამომხმარებლო ფასების დონის 0.28%-ით ზრდას, ხოლო გრძელვადიან პერიოდში კი - 0.43%-ით ზრდას (სებ). სამწუხაროდ, უნდა ითქვას, რომ ბოლო 1 თვეში ლარი 12%-ით გაუფასურდა.

ხაზგასასმელია, რომ ქვეყანაში აქტიურად განიხილავენ სხვადასხვა ქვეყნის მოდელებს. ფაქტი ერთია, ქვეყანას სჭირდება ეროვნულ საჭიროებებზე მორგებული მოდელები, სახელმწიფო პრობლემების დინამიკაში შესწავლის საფუძველზე აგებული პროგრამები, კვლევებით არგუმენტირებული პროექტები, სტრატეგიული უნარ-ჩვევებისა და ეკონომიკური აქტიურობის ბიძგის მიმცემი ქარიზმატული ლიდერები. პირები, ვინც პასუხისმგებლობის აღებით, კონკრეტულ ვადაში აჩვენებენ შედეგებს.

ჯამში, მოკლევადიან პერიოდში, ეკონომიკის განვითარება მიღწეული იქნება მძლავრი სახელმწიფო სისტემის ჩამოყალიბებით, ამისათვის კი საჭიროა ქვეყნის ადმინისტრაციული და პოლიტიკური მოდერნიზება.

რატი აბულაძე,
ეკონომიკის დოქტორი,
პროფესორი

რუსთაველთა ნაწილს წყლის ტარიფი გაეზარდა

სემეკმა წყლის ტარიფი დაადგინა. მარეგულირებელ კომისიაში განხილვისას გადაწყდა, რომ საყოფაცხოვრებო ტარიფი უცვლელი რჩება ე.წ. მცხეთის წყლის როგორც გამრიცხველიანებული, ასევე მრიცხველის გარეშე მყოფი მომხმარებლისთვის.

რაც შეეხება კომერციულ სექტორს, მათ ერთი კუბური 1 ლარით და 19 თეთრით გაუიაფდათ.

ტარიფი შეიცვალა წყლის კომპანია რუსთავის მომხმარებლისთვის. სემეკის გადაწყვეტილებით, გამრიცხველიანებული აბონენტებისთვის ტარიფი უცვლელია. მრიცხველის გარეშე მყოფი მომხმარებლებისთვის ტარიფი სულზე 13 თეთრით გაძვირდა, კომერციულ სექტორს კი კუბური მეტრი 45 თეთრით გაუძვირდა.

(მესამე გვერდიდან)

— ნამდვილად, გეთანხმებით და, საერთოდ, კვირიკაშვილიც 2016 წლის თემაა. საინტერესო აღმოჩნდა ისიც, რომ ოპოზიცია, რომელიც „ჭრელო პეპელავ, ნურც გაფრინდები, ნურც მოფრინდების“ როლშია, ოღონდ გააკრიტიკოს და ყველაფერს აკრიტიკებს, კვირიკაშვილი შედარებით ფრთხილია. შიშის გამო ნამდვილად არა, იმიტომ, რომ კვირიკაშვილი არ არის აგრესიული. ეს რიდი კვირიკაშვილის მიმართ, უდავოდ მისი დამსახურება და საინტერესო მონაპოვარია. მან არც ერთ პოლიტიკურ ორთაბრძოლაში არ დაიკაპიწა ხელები, პასუხები გასცა ძალიან მშვიდად, რაც ყველაზე მომგებიანი აღმოჩნდა.

ქართველი პოლიტიკოსები თუ დაფიქრდებიან კვირიკაშვილის ამ წარმატების მექანიზმზე და პოლიტიკურ სტილში თავდაჭერილობაში მიბაძავენ კვირიკაშვილს, მხოლოდ მოიგებენ. ფაქტია, რომ აშკარად მომგებიანია კვირიკაშვილისეული პოლიტიკური სტილი. მომგებიანია იმითაც, რომ კვირიკაშვილმა მომგებიანი გუნდიც წამოაყენა, რასაც დღეს ახალ სახეებს და კვირიკაშვილის გუნდს ეძახიან. ახალგაზრდები, რომელთაც განათლება უცხოეთში აქვთ მიღებული, მაგრამ ნამუშევრები არიან საქართველოში. იციან, როგორც საქართველოს პრობლემები და თავისებურებები, ასევე იციან დასავლეთიც. რაც მთავარია, მათ მოითხოვეს გასულიყვნენ მაჟორიტარებად. ვიბრძოლებთ და თუ მოვიგებთ, ეს ჩვენი მოგება იქნება და არა ვინმეს დამსახურებაო.

„რატომ ებღაუჭებიან საპარლამენტო რესპუბლიკას, როცა ქვეყანას პოლიტიკური პარტიების წარმოშობის უნარი არა აქვს?!“

— გამოდის, რომ ჩვენს მოსახლეობას სჭირდება ნორმალური პოლიტიკური პარტნიორი?

— რა თქმა უნდა და არა შეურაცხყოფა და შაქრის ტომრებზე დაინტერესებულ მასაზე ორიენტირებული. მოსახლეობის ეს იმიჯი, სწორედ კვირიკაშვილის ახალგაზრდა გუნდმა გამოასწორა. რატომღაც მათ ამ უმნიშვნელოვანეს დამსახურებაზე აქცენტი არ კეთდება. ეს მათი დამსახურებაა და პირველ რიგში, თავად გიორგი კვირიკაშვილის, რომ მას პოლიტიკაში ვინმეს ზურგს უკან ყოფნა არ უნდა. მე პირადად ეს ხაზი მეჩვენება 2016 წლის მნიშვნელოვან მოვლენად.

— რაც შეეხება საგარეო მიმართულებას, 2017 წელი მნიშვნელოვანია საერთაშორისო კუთხითაც, 10 ქვეყანაში ტარდება საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნები, საქართველოსთვის რამდენად მნიშვნელოვანი იქნება საერთაშორისო პოლიტიკა და არჩევნების შედეგები?

— ერთადერთი, რაც შიშს არ იწვევს იმ პერსპექტივების მიმართ, რაზედაც ლაპარაკობს მომავალი არჩევნები ევროპის 10 ქვეყნებში, გახლავთ ის, რომ საქართველოს ყველა ამ ქვეყანასთან ნორმალური ორმხრივი ურთიერთობები აქვს. ევროპა როგორ მოუვლის თავის თავს, ეს წმინდა ევროპული პრობლემაა, ეს არ არის დაკავშირებული რაიმე სახით კავკასიასთან, ან რუსეთთან ურთიერთობასთან.

— რამდენად რთული იქნება 2017 წელი ქვეყნისთვის, რომელსაც გაზაფხულზე აქვს თვითმმართველობის არჩევნები? ჩვენ არ ვიცით, როგორ გადანაწილდება პოლიტიკური სპექტრი...

— ძნელია წინასწარ საუბარი. დავით უსუფაშვილი გაზაფხულამდე დაგვემშვიდობა. სწორედ გაზაფხულზე გამოჩნდებიან პარლამენტს გარეთ დარჩენილი პოლიტიკური ძალები. ალბათ, ჩამოაყალიბებენ მოქმედების სტრატეგიას. ეს სურათი რომ ჩამოყალიბდება, ამის მერე შეიძლება ლაპარაკი იმაზე, როგორი იქნება 2017 წლის საარჩევნო პროცესის პანორამა.

ესაუბრა
თამთა ძარჩავა

სულის ექიმი

კარგად სათქმელისთვის გამოგზავნილი კაცი!



... სანამ პირადად გავიცნობდი, მანამდე ტელეეკრანიდან მახსოვდა. მის მოსასმენად საგანგებოდ ვემზადებოდი, რადგან ვხედავდი, რაზედაც არ უნდა ესაუბრა, ყველაფერი ამ ქვეყნის გულწრფელი სიყვარულითა და ტკივილით იყო ნაკარნახევი, მოკლედ, სამშობლოზე შეყვარებულ კაცად შევიცანი. მერე კლინიკაში მეწვია, რჩევისათვის მომმართა, როგორც ექიმს. ჩემს წინ ახოვანი, შუბლზე სვანურქუდჩამოფარებული კოლორიტული კაცი იდგა, გამორჩეული ხმის ტემბრითა და დიალექტით, რომელსაც მთელი მისი კუთხის ღირსება თითქოს ზურგით მოეტანა ზუსტად ისე, როგორადაც სიმართლეზე ჯვარდაწერილი სვანი მამაკაცი წარმოგიდგენიათ. საერთო უცებ ვიპოვეთ, მერე და მერეც შევხვდით ერთმანეთს და ყოველ შეხვედრაზე ვრწმუნდებოდი, ეს კაცი ამ ქალაქში, მთიდან ბარში რაღაც კარგის თუ კარგად სათქმელისთვის ყავდა მამაზეციერს გამოგზავნილი. ახლახან მისი ლექსების კრებული მისახსოვრა, წიგნისთვის „შამარირა“ დაურქმევია, ბევრი ვეცადე, ვეძებე, რომ გამეგო, მაგრამ ისევ მან ამიხსნა, რომ შამარირა ღვთის წყალობას ნიშნავს და სვანები ხშირად წაიმღერებენ კიდევაცო. ასე გამომიწვია და ჩამიყოლია ერეკლე საღლიანმა, რომ მისი მკითხველი გავმხდარიყავი. მეც მივყევი მის სტრიქონებს, ვზივარ და ვკითხულობ:



„ახლა შინ ვარ, ეკლის გზაზე ვფიქრობ,
ლექსებს გულში ხანჯალივით ვიყრი“;

წავიკითხე თუ არა, დაზეპირებაც არ მიფიქრია, ისე დავიხსომე:

„მარადიული ნეტარების ქარები ქრიან,
შენით შევიგრძენ, რომ სიყვარული,
თვით ჯვარცმის დროსაც არ არის
გვიან...“

ალბათ მხოლოდ სვანეთის მთების შვილს თუ შეუძლია ბექნუ ხერგიანის საბედისწერო მწვერვალი ასე დაინახოს — „დღეს მიუვალი შენი მწვერვალი, აგვისტოს მზეში ისევ ბანაობს...“

ერეკლე საღლიანის პოეზიას, ალბათ, სხვები შეაფასებენ და უკეთ იტყვიან ამ გულწრფელობითა და ხალასი ნიჭით სავსე ადამიანის შემოქმედებაზე, მაგრამ მე, ამ ექიმ კაცს სიტყვის თქმა მომინდა კაცზე, რომელიც თვითონ სიტყვების „ხაზეინია“ და მისი გემო და ფასიც გემო რჩეულად და გამორჩეულად იცის:

„...ხან ამაკვნესებს
ლერწამის ღერი,
ხან თქვენი ლექსის
სტრიქონად ვმღერი,
ვარ თქვენს ბაგეზე
დაღვრილი ლოცვა,
ქცეული თქვენში
სისხლად და ხორცად,
სურვილს და წყურვილს
ერთად რომ გიკლავ,
მე ვქმნი სასწაულს
და მქვია სიტყვა“.

„შამარირა“ რომ მისახსოვრა, ზედ წააწერა „ბატონ გელას, სულის ექიმს... გისურვებთ ისეთ სამშობლოს, როგორიც გსურთ.“ მე კი ვიტყოდი, სამშობლო, როგორიც გვსურს!!! როცა საზოგადოებას ავადმყოფობები მოეძალება სულის და ხორცის, ექიმი და პოეტი ერთნაირად სჭირდება საზოგადოებას, რომ ერთმა ხორცი განკურნოს და მეორემ — სული. წამალი კი ერთისთვის აბებია და მეორისთვის სტროფები. ჰოდა, ერეკლე საღლიანი ისტორიკოსი, ფილოლოგი, ეთნოგრაფი, პედაგოგი, პოეტი და უკვე შემიძლია მას ექიმის სტატუსიც მივანიჭო — სულის ექიმის. მისი „შამარირა“ ამის დასტურია.

გელა მუხაშავრია,
მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი,
საპაგიო თბილისელი

საქართველოს მედიცინის მეცნიერებათა აკადემიისაგან

საქართველოს მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის მიერ 2016 წელს გამოცხადებულ ვაკანტურ ადგილებზე კონკურსის შედეგად აკადემიის წევრებად არჩეული იქნენ შემდეგი პიროვნებები:

თეორიული მედიცინის განყოფილება:

1. **ვახტანგ მეუნარგია** — დ. ტვილდიანის სახელობის სამედიცინო უნივერსიტეტის მიკრობიოლოგიისა და იმუნოლოგიის მიმართულების პროფესორი,
2. **ომარ ხარძეიშვილი** — თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის პათოლოგანატომიური დეპარტამენტის პროფესორი,

კლინიკური მედიცინის განყოფილება:

1. **ალექსანდრე ქისტაური** — თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის შინაგან სნეულებათა მედიცინის დეპარტამენტის ხელმძღვანელი,პროფესორი,
2. **გია თომაძე** — თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ქირურგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი,პროფესორი
3. **ზვიად ხელაძე** — საქართველოს კრიტიკული მედიცინის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე, პროფესორი.
4. **ალექსანდრე ალადაშვილ**ი — აკად..ჩაფიძის სახელობის გადაუდებელი კარდიოლოგიის ცენტრის ინტერვენციული მედიცინის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, პროფესორი
5. **ნიკოლოზ კინტრაია** — თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის მეანობა-გინეკოლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი,პროფესორი,
6. **ყარამან ფაღავა** — თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის პედიატრიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი,პროფესორი,
7. **ილია გოცაძე** — კლინიკური მედიცინის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ქირურგი ონკოლოგი,მედიცინის აკადემიური დოქტორი.
8. **ბიჭიკო ცალუღელაშვილი** — საუნივერსიტეტო ჰოსპიტალ „ნიუ ვიჟენ“-ის სამედიცინო სამსახურის უფროსი, პროფესორი,
9. **გია სვანიძე** — კლინიკური მედიცინის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის წამყვანი მეცნიერ-თანამშრომელი, პროფესორი,
10. **დუდანა გაჩეჩილაძე** — კლინიკური მედიცინის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის წამყვანი მეცნიერ-თანამშრომელი, პროფესორი.

საქართველოს მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმი

მუნიციპალური განვითარების ფონდმა 66 მუნიციპალიტეტისთვის სპეცტექნიკა შეიძინა

საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდმა, ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის ფინანსური მხარდაჭერით, საქართველოს სხვადასხვა მუნიციპალიტეტისთვის 144 ნაგავმზიდი მანქანა და 7209 ნაგავშემკრები კონტეინერი შეიძინა. ტექნიკის ნაწილი საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრმა ზურაბ ალავიძემ და მუნიციპალური განვითარების ფონდის აღმასრულებელმა დირექტორმა გალაქტიონ ბუაძემ ბორჯომის მუნიციპალიტეტს გადასცეს. აღნიშნული რეგიონი ტურისტულად დატვირთულია და ნარჩენების ინტენსიურ გატანას საჭიროებს. ახალი ნაგავმზიდი მანქანები კი თანამედროვე სტანდარტებს შეესაბამება და სხვა სპეცტექნიკასთან შედარებით, უფრო მეტი სიმძლავრისაა, რაც ხელს შეუწყობს დასუფთავების სამუშაოების ეფექტურ შესრულებას. ტექნიკასთან ერთად, ბორჯომის მუნიციპალიტეტს 100 ერთეული ნაგავშემკრები კონტეინერიც გადაეცემა.

აღსანიშნავია, რომ ჩამოყვანილი ნაგავმზიდები მერსედესის ფირმისაა და თურქეთში იწყობა კომპანია „კატმერჩილერის“ მიერ. ტექნიკა საქართველოს 66 სხვადასხვა მუნიციპალიტეტს გადაეცემა. პროექტის ჯამური ღირებულება 12 მლნ ევროა.

რას უკვეთავენ თბილისურ რესტორნებში წინასაახალწლოდ?

წინასაახალწლო პერიოდში ქართულ რესტორნებში ყველაზე დიდი მოთხოვნა ტრადიციულ, უმეტესწილად ხორცით მომზადებულ კერძებზეა.

შეკვეთებიდან პირველი სამი ადგილი ასე გადანაწილდა: მწვადი, ხინკალი, ჯიგარი. შემდეგ მოდის, ხაჭაპური, შემწვარი წიწილი და, რაც არ უნდა გასაკვირად ჟღერდეს, მწნილი, ანუ ქართულ რესტორანში მწნილს უფრო ხშირად უკვეთავენ, ვიდრე თევზეულს, ფხალეულსა და სალათებს.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს საფუძვლიანი მიზეზი აქვს, ღვინის სამშობლოდ ცნობაზე პრეტენზიას აცხადებდეს, თითქმის ყველა ტიპის ქართულ რესტორანში, არყის შემკვეთთა რიცხვი ღვინის მომთხოვნებზე დაახლოებით 2-3-ჯერ მეტია.

ამის უპირველესი მიზეზი შესაძლებელია, ღვინოსთან შედარებით, ეროვნული წარმოების არყის სიიაფეც იყოს, მაგრამ თუკი იმასაც გავითვალისწინებთ, რომ მოხმარებული კერძებიდან ხინკალი მეორე ადგილს იკავებს, ხოლო საქართველოში ხინკალთან მისაყოლებელ სასმელად მხოლოდ არაყი მოიაზრება, ღვინისა და არყის გაყიდვებს შორის ასეთი დიდი სხვაობის მიზეზსაც ადვილად მივხვდებით.

ბოლო წლების განმავლობაში ფართოდ დამკვიდრდა რესტორანში ღვინის შეტანის ტრადიცია, ეს გარდა იმისა, რომ ეჭვქვეშ აყენებს, რესტორნების მიერ შეთავაზებული ღვინის ხარისხის სანდოობას, იმასაც უსვამს ხაზს, რომ როდესაც საუბარი ღვინოზეა, რიგით ქართველს „გარისკვა“ არ სჩვევია და ურჩევნია, რომ ის ღვინო დალიოს, რაც იცის როგორი ხარისხის არის და ამ საქმეში ცალიან ცოტა ვინმეს თუ ენდობა.

ქართულ რესტორნებში კონიაკის და კონიაკისებური სასმელების გაყიდვის რაოდენობა ძალზედ მცირეა. შეიძლება ითქვას, რომ ჩვენთან რესტორნებში მცირე გამონაკლისების გარდა, კონიაკს თითქმის არ ითხოვენ.

სხვათა შორის, შედარებით პრესტიჟულ რესტორნებში უცხოური წარმოების სასმელებზე უფრო მეტი მოთხოვნაა (რა თქმა უნდა, ქართული არყების შემდეგ), ვიდრე კონიაკსა და შამპანურზე.

რაც შეეხება ბოთლის ღვინოს, ბოლო წლებში შეინიშნება საკმაოდ საიმედო ტენდენციაც და როგორც რესტორნების თანამშრომლები ამბობენ, ქართველი მომხმარებელი მართალია ძალიან ნელა და დაეჭვებით, მაგრამ მაინც უბრუნდება ბოთლის ღვინოს. თუმცა, ამ შემთხვევაშიც, ღვინის ფასი ხშირად გადამწყვეტ როლს თამაშობს.

რესტორნებში გაყიდული ერთი ბოთლი ღვინის ფასი საშუალოდ 20-25 ლარია. ამაზე ძვირფას ღვინოებს, საქართველოში არ უკვეთავენ და ეს ფაქტი აუცილებლად უნდა გაითვალისწინონ ღვინის მწარმოებელმა კომპანიებმაც, რათა კლიენტურის მოთხოვნილება და ღვინის ფასი ერთმანეთს მოარგონ.

ქართულ რესტორნებში ყველაზე დიდი მოთხოვნა ხორცისგან (ძირითადად ღორის, ქათმისა და საქონლის) მომზადებულ კერძებზეა. საქართველოში ცხვრის მოშენების მრავალსაუკონოვანი ტრადიციის მიუხედავად, ცხვრის ხორცის რესტორანში შემკვეთი ძალიან იშვიათია.

ეს ტენდენცია ვრცელდება თითქმის ყველა კატეგორიის კვების ობიექტზე, დაწყებული იაფფასიანი სასადილოებიდან და სახინკლეებიდან, პრესტიჟული რესტორნებით დამთავრებული, თუმცა, როგორც გაირკვა, კლიენტურა ძირითადად მაინც კერძების ფასებით ხელმძღვანელობს.

წლეულს ასოცდახუთი წელი (და არა 123, როგორც ამას ენციკლოპედია გვაუწყებს) შესრულდა გამოჩენილი მწერლის კონსტანტინე გამსახურდიას დაბადებიდან. თაობები გაიზარდნენ ბატონ კონსტანტინეს ზოგადსაკაცობრიო და ეროვნულ-პატრიოტულ შედეგრებზე, მაგრამ ცოტა თუ იცნობს მას როგორც პოლიტიკოსს...

1917 წელს რევოლუციის შედეგად დაინგრა რუსეთის იმპერია. საქართველომ ნანატრი თავისუფლება მოიპოვა. ქვეყანა ახალ ცხოვრებას იწყებდა.

1918 წლის დასაწყისშივე დაარსდა ყოველთვიური ლიტერატურულ-სამეცნიერო-პოლიტიკური ჟურნალი „პრომეთე“. სარედაქციო სტატიაში ჟურნალის დამფუძნებელთა ოცნებაა გამხელილი: „დღეს ეყრება საფუძველი ჩვენს ახალ პოლიტიკურ შენობას, დღეს კვლავ იწყებს ბრუნვას ჩვენი მთელი საუკუნის განმავლობაში შეჩერებული სახელმწიფოებრივი ცხოვრების ჩარხი, დღეს უნდა დაადგეს განახლებისა და აღორძინების გზას ჩვენი კულტურა, კულტურა, რომელსაც თავისებური, ქართული სახე აქვს და რომელსაც მრავალი საუკუნე უმაგრებს ზურგს, დღეს უნდა გამრავლდეს გამწყდარი ჯაჭვით“.

ჟურნალის წერილების ავტორები არიან ქართული პატრიოტულ-ლიტერატურული ელიტის წარმომადგენლები: დავით კლდიაშვილი, აკაკი პაპავა, კოტე მაყაშვილი, არისტო ჭუმბაძე, სიკო ფაშალიშვილი, კონსტანტინე გამსახურდია, აკაკი შანიძე, ივანე ჯავახიშვილი, კორნელი კეკელიძე, ექვთიმე თაყაიშვილი.

მკითხველს მცირედი შემცირებით ვთავაზობთ კონსტანტინე გამსახურდიას წერილს „ANNO 1917, პოლიტიკური მიმოხილვა“, რომელიც ჟურნალის პირველ ნომერში გამოქვეყნდა. დღეს ეს წერილი გაკვეთილია ჩვენთვის.

ასეთ წერილს მხოლოდ დიდი პოლიტიკოსი და ერისკაცი დაწერდა.

ნოდარ კუჭავა,
პედაგოგიკის დოქტორი, საქართველოს დამსახურებული ინჟინერი

ANNO 1917

პოლიტიკური მიმოხილვა

1917 წლის იანვარს ქართველობა გულნაღვლიანი შეეგება. ბურუსით მოსილი მომავალი ყოყმანით ხსნიდა დროთა წიგნის მორიგ ფურცელს.

117 წლის მონობით მოდუნებული ერი გულხელდაკრეფილი შესცქეროდა ახალ წელიწადს, რადგანაც ყველა ჩვენგანი ინსტიქტურად გრძნობდა, რომ, რაც ხანი გადიოდა, პოლიტიკური ვითარება ჩვენთვის უფრო და უფრო აუტანელი ხდებოდა. არსაით ჩანდა სხივი იმედიანი მომავლისა, ყოველ ქართველს შარშან ამ დროს გულში ემარხა წინასწარმეტყველის სიტყვები:

„მამათა ჩვენთა ცოდეს და არა არიან და ჩვენ. უსჯულოებათა მათთა მოვიხუამთ“.

სულ სხვა იმედით, სულ სხვა სასოებით შესცქერის ქართველი ერი 1918 წელს.

ამ წელმა უნდა მოგვიტანოს ის, რაც 117 წლის წინად და 117 წლის განმავლობაში დავკარგეთ. 1918 წელმა უყოყმანოდ უნდა დაგვიბრუნოს ის, რაც ეგზომ ვერაგულად წარგვტაცა 1801 წელმა.

მომავალი ახალი წლისგან ველით ჩვენ მყუდრო მოქალაქეობრივ ცხოვრებას და ხელშეუშლელ კულტურულ მუშაობას.

ამ წლისგან მოვითხოვთ ჩვენ სამშობლოდან გადახვეწილ ძმებსა და შვილებს, უცხოობაში და მარტოობაში, რომ ერთეულ გუშაგად დამდგარან ძველ სასომხითოში და პოლაკთა ველმიდამოში, კურლანდიაში, ლიფლანდიაში ან პინსკის ჭაობიან არემარეში რომ ანელებდენ სამშობლოდან გამოყოლილ სამხრეთის სიცხუნვარეს.

ამ წლებიდან მოველით ჩვენ სამართლიან ზავს და სამართლიან ცხოვრების პირობებს, როგორც ჩვენი საზოგადოებრიობის, ისე ჩვენი ქვეყნის პოლიტიკური ცხოვრების მეისტორიისთვის დაუშრეტელ მასალას იძლევა 1917 წელი.

ამ წელს შედგა პროვიზორული ამიერკავკასიის კომისარიატი, დაემხო ძველი რუსეთი, 1917 წლის 19 ნოემბერს საძირკველი ჩაეყარა ქართველი ერის სუვერენულ უფლებებს.

ამ დღიდან უნდა დავიწყოთ საქართველოს თავისუფლების ახალი ქრონიკონი.

19 ნოემბრის დეკლარაცია თავისი მნიშვნელობით არ ჩამოუვარდება 1801 წლის მანიფესტს რუსის იმპერატორისას, რომელმაც მძიმე ლოდი დაადვა კავკასიის თავისუფლებას. უახლოესი წარსულიდან ვიცით, თუ რაოდენი მსხვერპლი გაიღეს ჩვენმა ჩრდილოელმა მეზობლებმა, ამ ლოდის ასაღებად, მაგრამ ვერც შამილის ოსტატმა ხელმა, ვერც ჩერქეზების, ჩაჩნების და ლეკების თავგანწირულმა ბრძოლამ ამ ლოდის ქვეშ დამარხულ კავკასიელ ერთა თავისუფლება მკვდრეთით ვერ აღადაგინა. ისევ და ისევ 117 წლის ტანჯვა და 117 წლის ბრძოლა დასჭირდა ქართველს ერს, რომ იგი კვლავ მოქცეოდა ავანგარდში იმ ბრძოლას, რომლის ერთ ნაპირს ვულგარულ აზროვნებაში კავკასიის დემოკრატიისა და კავკასიელი ერების მთლიან ფრონტს უწოდებენ.

კავკასიაში მოსახლე ერების ყველა ინტერესთა ფოკუსში ერთი ნათელი უტყუარი აზრი და შეგნება უნდა გაიკვანძოს: **ამ ინტერესთა დეტალური ანალიზის დროს, ინტერესი ყოველი ერთეულისა, ზოგადკავკასიურ ინტერესთა ჰარმონიიდან უნდა გამომდინარეობდეს. ამ შეგნებისა და ამ გზით სიარულის ნიშანწყალს ჩვენ 19 ნოემბრის ყრილობაზე შევამჩნევდით.**

ესევე ჩანდა იმ მეზობელ ერთა წარმომადგენლების სიტყვებიდან, რომელიც ქართველმა ერმა მოისმინა. ეს იყო გულწრფელი მოწოდება ქართველი ერისადმი კვლავ ძველ პოზიციებზე დასაბრუნებლად, და როგორი იყო ეს გზა და ეს პოლიტიკური ლარი, რომელიც თან დაჰყოლია კერძოდ, ქართველი ერის და საერთოდ კავკასიის პოლიტიკურ ისტორიას?

ჩვენ ბედმა გვარგუნა ამიერკავკასიაში გეოგრაფიული ცენტრის დაჭერა და მიუხედავად იმისა, რომ კავკასია, მრავალი საუკუნის რელიგიოზურ და ეროვნული ბრძოლის არენად იყო გამხდარი, თვით ამ ბრძოლის ქარტეხილშიაც გამოსჭვივოდა ერთი რამ: ჩვენი გამუდმებული და შეუპოვარი ჭიდილი, ბრძოლა, საქართველოს სახელმწიფოებრივი ინსტიტუტის განსამკვიდრებლად პარალელურად მთელი კავკასიის ერთა თავისუფლების გარანტიად იყო გადაქცეული.

ამნაირად ჩვენ 19 ნოემბრიდან კვლავ ვუბრუნდებით იმ პოზიციას, რომელიც 1801 წელს ნებით თუ უნებლიეთ შემოჭრილი ძალისათვის უნდა დაგვეთმო, ჩვენ არას ვიტყვით იმ კულტურულ განმანათლებელ მისიაზე, რომელიც ჩვენ წინაპრებს უწარმოებიათ კავკასიის ტერიტორიაზე, ჩვენი გულისყური ამჟამად იმ პერსპექტივებისაკენაა მიმართული, რომელიც წინ გვეხატება ჩვენი ეროვნული თავისუფლების „მაგნა ხარტიას“ გამოქვეყნების დღიდან.

ვნახოთ, რას ავალებს ის დღე კერძოდ ქართველობას და საითკენ უნდა იქნას ჩვენი ეროვნული ენერგია მიმართული ამიერიდან?

1801 წლის კატასტროფისა და ზემოხსენებული პოზიციის დაკარგვის მიზეზი ჩვენს ლიტერატურაში ჯეროვანად გაშუქებული და შესწავლილი არ არის.

ბევრსა ჰგონია, თითქოს საქართველოს სამეფოს დამხობის მიზეზი გარსევან ჭავჭავაძის ან ირაკლი მეორის ბრმა პოლიტიკა ყოფილიყო.

ამ მოსაზრების ავტორთ ალბად გათვალისწინებული არა აქვთ, თუ რა არის საერთოდ მიზეზი, რომ ერთი მუჭა ინგლისელები ან ბელგიელები, ფრანგები ამ ვეებერთელა ინდოეთს, კონგოსა და მაროკოს იმორჩილებენ და ეკონომიურად ყვლეფენ.

მარტო კულტურულ წარმატებაზე ლაპარაკიც ზედმეტია, რადგანაც ინდოეთის კულტურა არა მარტო ინგლისისა, მთელი ევროპის კულტურის ფუძეთა და ბაზისადაა აღიარებული.

ერთადერთი მიზეზია ის ცივილიზაციური უპირატესობანი, რომლის წყალობითაც ევროპა აზიის ბატონ-პატრონად ითვლება და ეს ზემოხსენებული სუ-

ვერენული ერების ხელშია დღემდის.

ვიდრემდის ამიერკავკასიაში და მცირე აზიაში ჩვენი ცივილიზაციური ტექნიკა ჩვენ პოლიტიკურ მეტოქეობასა და ძალაუფლებას სარჩულად ჰქონდა, საქართველოს პოლიტიკური თავისუფლება უზრუნველყოფილად ითვლებოდა, მაგრამ როგორც კი ჩრდილოეთით გამოჩნდა ცივილიზაციურად ჩვენზე ძლიერი რასსა, აქ კი ხიდი ჩაუტყდა ქართველობას და იმ იარაღით, რომლითაც ქართველი ხალხი თავის ამიერ კავკასიელ მეზობლებსა და მცირე აზიელ ან სპარსულ მოქიშპეებს ებრძოდა, იგი ვერ დაუპირდაპირდა პრუსიულ ადათზე აშენებულ რუსეთის სახელმწიფოებრივ ინსტიტუტს.

აი ეს არის დღესაც ქართველი ერის აქილევსის ქუსლი, აი ამ გარემოებას უნდა მიაპყროს ქართველმა ხალხმა მთელი თავისი გულისყური თუ გვინდა, რომ ჩვენი პოლიტიკური ბრძოლა ჩვენ კულტურულ მუშაობასა და არსებობის ფარხმალად გამოადგეს.

საქართველოს ტერიტორიიდან მეფის სატრაპების განდევნით, ჩვენ მოვიპოვეთ თავისუფალ, კულტურულ-ცივილიზაციური მუშაობისათვის აუცილებელი პირობების მინიმუმი.

ჩვენ თვალწინ ზღაპრულ ამირანივით იზრდება ქართული საზოგადოებრივი ცხოვრება, დღითი დღე რთულდება ჩვენი ეროვნული ორგანიზმის მექანიზმი, ქვეყანას ეფინება კოოპერატივები, შკოლები ათასნაირი ტიპისა. ნელ-ნელა ეყრება საფუძველი სკოლის, სასამართლოს და სხვა დაწესებულებათა ნაციონალიზაციას. დგება ქართული ჯარი, ამიერიდან ქართული მხედრობა ძველ პოლიტიკურ იანიჩარობას უკუაგდებს და სისხლითა და რკინით დაიცავს საქართველოს ტერიტორიასა და ქართველი ერის პოლიტიკურ უფლებებს.

ქართული ეროვნული საბჭო „ქუდზე კაცს უხმობს“, რადგან პოლიტიკურ თავისუფლების შესანარჩუნებლად დეკლარაციები და რეზოლუციები არ კმარა და თვით ცივილიზაციურად დაწინაურებული ევროპის ცხოვრებაც ამას ჰმოწმობს, რომ უფლება ძალაზე უნდა დაემყაროს, თვარა უძალოდ უფლება უმშვილდო ისარია. ჩვენი არსებობის გარანტია ჩვენივე ძალღონე უნდა გახდეს თუ გვინდა „ჩვენი თავი ჩვენვე გვეყუდნოდეს“, ახლა იწყება აჩქარებულის ტემპით ჩვენი ერის აზრისა და გრძნობის აუცილებელი სისტემატიზაცია, რაიცა აუცილებელი პირობაა პროგრესისა და ცივილიზაციისთვის. 1918 წლიდან საქართველოს დედა-ქალაქში არსდება უმაღლესი სასწავლებელი და ჩვენი მეცნიერები ამიერიდან ისეთივე ბეჯითობითა და გულისყურით დაიწყებენ ახალი ბრწყინვალე კულტურული საქართველოსა და მის მომავალზე ფიქრს, როგორც ძველ ქართულ უმაღლეს სემინარიებში და მონასტრებში, ქართველი სწავლულები და სტოიკი ბერები შეუმჩნეველ ცვილივით რომ იწოდნენ „ღვთისა და სინათლის“ მოყვარე ქართველი ერისათვის.

ოდნავაც აგვეხსნა მაჯებზე პოლიტიკური კირთების ბორკილები და ქართველი ხალხი დღესაც, როგორც ასისა და მრავალი ათასი წლის წინად ცალ ხელში გუთნითა და ცალშიაც სამტროდ მოსულისათვის გამეტებული მახვილით განაგრძობს შრომას და ტანჯვას უკეთესი მომავლისა და ახალი საქართველოს ბედის გამოსაკვერავად. ჩვენი პოლიტიკურ ღელვათა და მისწრაფებათა სისტემატიზაციაც ნელ-ნელა წარმოებს. ქართული ეროვნული საბჭო ფრთხილად და აუჩქარებლად ამზადებს ნიადაგს მომავალი ქართული სახელმწიფოს მკვიდრ და ერთობისა და სოლიდარობის დუღაბით შეკირულ შენობისათვის.

ეს ორი მხარე კულტურული და პოლიტიკური ვითარებისა, ეს ორი მისწრაფება ჩვენი ეროვნული ენერგიისა ნორმალურ კალაპოტში განაგრძობს სვლას. რადგანაც ჩვენ კარგად ვიცით სხვა ერების წარსულიდან, რომ **ყოველმა ერმა პოლიტიკური ბრძოლა პარალელურად უნდა აწარმოვოს კულტურულ მუშაობასთან** და იმ ერს, რომელსაც შინ წერაქვისა, კალმისა და გუთნის კელის სახლებლად გული არ ერჩოდა და მუდამ მახვილ ამოწვდილი დაძრწოდა სხვის ხარჯზე გასამდიდრებლად და სხვისი ტერიტორიის შემოსაერთებლად, აუცილებლად მახვილით ეღებოდა ბოლო. ამგვარმა ხალხებმა დიახაც დაამშვენეს ომებისა და ლაშქრობის მატიანენი და იარაღის მუზეუმები, ხოლო მათ მიწებზე არავის უნახავს არც მდიდარ შინაარსიანი მონუმენტალური დოკუმენტები, არც თვალსაჩინო გმირთა სარკოფაგები და პროპილეები, ერის სუ-

ლიერი ზვიადობისა და მაღალი სულოვანების მოწმედ დარჩენილი. უეჭველია მთელი ჩვენი პოლიტიკური ენერგიის სადავე საქართველოს დამფუძნებელ კრებამდის, ეროვნულ საბჭოს ხელში იქნება, დიდია მისი მნიშვნელობა და მისი პასუხისგებაც ქართველი ერის წინაშე; დღეს საქართველოს ეროვნულ საბჭოს ორი დიდი და რთული პრობლემისათვის ჰმართებს ზრუნვა. ერთია ამიერ კავკასიის ტერიტორიის ეროვნულად გადამიჯვნა და მეორე ზავის საკითხი.

ამიერკავკასიის დროებითი კომისარიატი თუ მთელი კავკასიელ ერთა პირით სახელმწიფოებრივ ენაზე ლაპარაკობს, ქართულმა ეროვნულმა საბჭომ ქართველი ერის სახელით უნდა დაიცვას ის, რაც ქართველი ერის აწინდელსა და მომავალ საკუთრებას შეადგენს.

ამავე კომისარიატს უნდა მოსთხოვოს ეროვნულმა საბჭომ, რომ ოსმალეთთან შეკრულ მომავალ საზავო კონტრაქტში ქართველი ერის რეალური ინტერესები არ დაიჩრდილოს. **საქართველოს დაქსაქსული ტერიტორიის შეკრების პროცესი არ უნდა შეფერხდეს** იმ ზავის პირობებით, რომელიც არსებითად უანექსიო და უკონტრიბუციო უნდა იქმნას, მაგრამ ამნაირ ზავს აუცილებლად თან უნდა ახლდეს პრინციპი ერთა თავისუფალ თვითგამორკვევისა.

იყო დრო, როცა ეროვნებათა ბედიღბალს ერთი მუჭა დიპლომატები სწყვეტდენ. მიმდინარე ომმა ერთა თავისუფალი თვითგამორკვევის პრინციპი მიანიჭა ყველა ეროვნებათ, ამის უეჭველ გარანტიას თვით საუკუნე და მისი სულიერი განწყობილება იძლევა. ოდესმე ძველ აღმოსავლეთის ერებს ეგონათ რომ თავისუფლება მხოლოდ ერთის პრივილეგიას შეადგენს, რომაელები და ბერძნები რჩეულთა ხვედრად სთვლიდენ მას. ხოლო ჩვენი საუკუნის დევიზია **ყველა თავისუფალი უნდა იქმნეს!**

სწორედ ეს პრინციპი უნდა იქმნას ლაიტმოტივად მომავალი ქართული სახელმწიფოისა და ჩვენი დამოკიდებულებაც მეზობელი ერებისადმი ამ პრინციპის ლარსა და ხაზს არ უნდა გადასცდეს. ეროვნულმა საბჭომ უნდა მოითხოვოს, რომ ვიდრემდის ლაზისტანის ბედი გადასწყდებოდეს, ანგარიში გაუწიონ თვით ჭანების რეალურ ინტერესსა და მათ სურვილს, რათა ჭანეთი მეორე ალზას-ლორენი არ გახდეს კავკასიაში.

დღეს თვით გერმანიის საზოგადოების ერთი ნაწილი მოითხოვს ალზას-ლორენის ბედი თვით ალზას-ლორენმა გადასწყვიტოს. იცნობენ ალზას- ლორენის, ბელგიის, ლუქსემბურგისა და მონტენეგროს სამართლიან მოთხოვნილებას, საქართველოსი და მასთან ერთად ლაზისტანის ინტერესებიც არ უნდა დარჩეს შელახული.

სამფეროვანია ჩვენი ეროვნული დროშა: შავი, თეთრი და წითელი: შავბნელი იყო ჩვენი წარსული. საუკუნეთა წყვდიადში სინათლის ჩირაღდანით გვივლია.

ალისფერი სისხლია ყოველგვარი თავისუფლებისათვის აუცილებელი გარანტია და ზვარაკი. სითეთრე სისპეტაკის ემბლემაა...მაშ ნუმც დაჩრდილავს ღრუბელი ჩვენი მამულის ცის კიდეზე ამობრწყინვებულ თავისუფლების მზეს.

სპეტაკი იდეალები აღვიზარდოთ ცეცხლებრ ანთებულ გულებში, ეს საუკეთესო მიზანია საქართველოს ინტელექტუალურ სინიდისის დასამშვიდებლად.

ეს ესაა დეპეშებმა გვაუწყეს რუსეთის დამფუძნებელი კრების მოთხოვნაზე. ჩვენ დაგვრჩენია ახლა გავიმეოროთ ისტორიული ფრაზა, რომელსაც საფრანგეთის გარდაცვლილ მეფეთა კუბოების წინაშე იტყოდნენ: მეფე გარდაიცვალა, გაუმარჯოს მეფეს!...

რუსეთის დამფუძნებელი კრება დათხოვნილია, მაშ გაუმარჯოს, საქართველოს დამფუძნებელ კრებას!

გაბედულად, მხნედ და შეუდრეკლად შეეგებება ქართველი ერი 1918 წელს, როგორც მრავალ სხვა ათასს.

ნუმც დავკარგავთ მომავლის იმედს თვით უაღრესი განსაცდელის ჟამს, სიმართლე და სამართლიანობა ვიგულოთ მარად ჟამს ჩვენ ერთგულ მოკავშირედ.

ჟურნალი
„პრომეთე“ №1, 1918 წ.

უკრაინელი ტურისტებისთვის თბილისი, ბათუმი და ქუთაისი საუკეთესო ტურისტული მიმართულებების „TOP-20“-შია

ტურისტული საძიებო ვებ-გვერდის momondo.ua-ს შემქნელებმა გვერდის მომხმარებლების მოთხოვნები შეისწავლეს, რომლის შედეგადაც დადგინდა თუ რომელი მიმართულებით ინტერესდებიან უკრაინელი ტურისტები.

ანალიზმა აჩვენა, რომ სტამბოლი ტურისტული მიმართულებების ლიდერია. რეიტინგმა აჩვენა, რომ უკრაინელ ტურისტებში დაინტერესება იზრდება პარიზის (გასულ წელთან შედარებით ზრდა +5 პუნქტი), რომის (+6 პუნქტი), ქუთაისის (+11 პუნქტი) და ვილნიუსის (ის საუკეთესო 20-ში აქამდე არ იყო) მიმართულებით.

გასულ წელთან შედარებით კლებაა მოსკოვისა (-7 პუნქტი) და ბანგკოკის (-5 პუნქტი) მიმართულებით.

momondo.ua-ს მომხმარებლების „TOP-20“ ასე გამოიყურება: სტამბოლი (0); 2. თელ-ავივი (0); 3. თბილისი (+1); 4. ნიუ-იორკი (+1); 5. პარიზი (+5); 6. ბარსელონა (+1); 7. რომი (+6); 8. ანტალია (+1); 9. ქუთაისი (+11); 10. ვარშავა ((4); 11. მოსკოვი (-7); 12. მილანი (-1); 13. ბანგკოკი (-5); 14. ლარნაკა ((2); 15. ბათუმი (-3); 16. პრაღა (-1); 17. ვილნიუსი (new); 18. დუბაი ((1); 19. ბაქო (new); 20. ამსტერდამი (new).

ბაკურიანში ტურისტული საინფორმაციო ცენტრი გაიხსნა

ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრმა გიორგი გახარიამ და ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა გიორგი ჩოგოვაძემ ბაკურიანში ახალი ტურისტული საინფორმაციო ცენტრი გახსნეს. გიორგი გახარია საინფორმაციო ცენტრის თანამშრომლებს გაესაუბრა და მუშაობის სპეციფიკას გაეცნო. საქართველოს მასშტაბით რიგით მე-19 საინფორმაციო ცენტრი როგორც საერთაშორისო, ასევე შიდა ტურისტებს მოემსახურება. ბაკურიანის საინფორმაციო ცენტრის სტუმრებს რეგიონის ღირსშესანიშნავი ადგილების და ტურისტული მარშრუტების შესახებ ამომწურავი ინფორმაციის მიღება შეუძლიათ. საინფორმაციო ცენტრი სტუმრებს ტურისტული ბროშურებითა და რუკებით უფასოდ მოემსახურება.

კურორტი „გოდერძი“ ტურისტულ სააგენტოებს მასპინძლობდა

სამთო-სათხილამურო კურორტ „გოდერძის“ ტურისტულ შესაძლებლობებს ტურისტული სააგენტოს წარმომადგენლები გაეცნენ. აჭარის ტურიზმის დეპარტამენტის ტურისტული პროდუქტების სააგენტოს ორგანიზებით 20-მდე სააგენტოს წარმომადგენელმა კურორტზე არსებული ინფრასტრუქტურა დაათვალიერეს და კურორტის, კოტეჯებისა და საბაგიროების მენეჯმენტთან თანამშრომლობის პირობები განიხილეს. ტუროპერატორებმა სოფელ დანისპარაულში მდებარე საოჯახო-სასტუმროს სახლებიც მოინახულეს. ინფოტური კურორტ „გოდერძზე“ მთის კურორტების განვითარების კომპანიისა და კურორტ „გოდერძის“ მენეჯმენტის მხარდაჭერით ჩატარდა.

სამთო-სათხილამური კურორტი „გოდერძი“ კარგად აღჭურვილი სათხილამურო ტრასებით გამოირჩევა, რომელთა საერთო სიგრძეც 8 კილომეტრია. საბაგიროს მაქსიმალური სიმაღლე ზღვის დონიდან 2366 მეტრია. ამ ეტაპზე დამსვენებლებს კურორტზე 7 საცხოვრებელი სასტუმროს ტიპის კოტეჯი ემსახურება, თუმცა 2018 წლიდან ამას დაემატება ორი მაღალი კლასის სასტუმრო „ალიანს რეზორტი“ და „ეიფორია სქაი თაუერი“. „ალიანს რეზორტში“, რომელიც 100-ნომრიანი იქნება საცურაო აუზები, ტენისის კორტები, ბავშვთა გასართობი ცენტრი, ბარი, რესტორანი, გამაჯანსაღებელი კომპლექსი, კაზინო, საკონფერენციო დარბაზი, მიწისქვეშა და მიწისზედა ავტოსადგომი მოეწყობა. რაც შეეხება „ეიფორია სქაი თაუერს“, რომელიც ასევე 100-ნომრიანი იქნება რესტორანი, საკონფერენციო დარბაზი, გამაჯანსაღებელი ცენტრი, საცურაო აუზი და სხვა ობიექტები განთავსდება. სასტუმრო კომპლექსების მშენებლობის პარალელურად დასრულდება კურორტამდე მისასვლელი გზის რეაბილიტაციაც.

◎ 11-თვიანი ვადა იწურება

ფარული მოსმენა – დამოუკიდებელი ორგანოს ხელში

31 მარტს იწურება 11-თვიანი ვადა იმისა, რომ პარლამენტმა კანონმდებლობა ფარული მოსმენის შესახებ კონსტიტუციას შეუსაბამოს. არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლები აცხადებენ, რომ ისინი მზად არიან, პარლამენტს უახლოეს მომავალში წარუდგინონ პროექტი, რომელიც, მათი მტკიცებით, სრულად გამორიცხავს ამ პროცესში ადამიანის უფლებების დარღვევასა და უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებას, რის საშუალებასაც, მათი თქმით, დღეს მოქმედი კანონმდებლობა იძლევა. არასამთავრობო ორგანიზაციები დამოუკიდებელი სააგენტოს შექმნის ინიციატივით გამოდიან. რას ნიშნავს ფარული მიყურადებისათვის დამოუკიდებელი ორგანოს შექმნა და როგორ წარმოუდგენია არასამთავრობო სექტორს მისი ფუნქციონირება?

9 თვის წინათ საკონსტიტუციო სასამართლომ არაკონსტიტუციურად ცნო სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მიერ სატელეფონო მოსმენების განსახორციელებლად ორეტაპიანი ელექტრონული სისტემის ფლობის, განთავსებისა და მისი უშუალოდ გამოყენების გზით ინფორმაციის რეალურ დროში მოპოვების შესაძლებლობა, ასევე კავშირგაბმულობის ხაზებისა და მათი შემაერთებლებიდან, ბაზებიდან, ინფორმაციის რეალურ დროში მოსაპოვებლად სხვა ტექნიკური საშუალებების გამოყენება. საკონსტიტუციო სასამართლომ მაშინ პარლამენტს 11-თვიანი ვადა მისცა იმისთვის, რომ კანონმდებლობა ფარული მოსნება-მიყურადების შესახებ კონსტიტუციასთან შეესაბამებინა. 11-თვიანი ვადა მარტის ბოლოს იწურება. არასამთავრობო ორგანიზაციები მზად არიან ე. წ. მოსმენების შესახებ მათ მიერ შემუშავებული მოდელი ახალ პარლამენტს გააცნონ, – ამის შესახებ 26 დეკემბერს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტში გამართულ შეხვედრაზე „ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის“ თავმჯდომარემ ანა ნაცვლიშვილმა განაცხადა. მისი თქმით, მოდელი, რომელიც არასამთავრობო სექტორმა შეიმუშავა, ე. წ. მოსმენების „გასაღების“ დამოუკიდებელი სააგენტოს ხელში გატანას გულისხმობს:

„ერთ-ერთი მოდელი, რომელიც არასამთავრობო ორგანიზაციებმა შევიმუშავეთ, ეს არის „გასაღების“ საერთოდ გარეთ გატანა, დამოუკიდებელი ორგანოს ხელში, რაც შეიძლება იყოს უფრო მეტი გარანტი იმისა, რომ „გასაღების“ ფლობა არ გახდეს მისი ბოროტად გამოყენების შესაძლებლობა. ეს უნდა იყოს დამოუკიდებელი სააგენტო. მას ბმა ექნება პარლამენტთან. ის, რა თქმა უნდა, არ იქნება აღმასრულებელი ხელისუფლების ნაწილი. ის იქნება დამოუკიდებელი ინსტიტუცია, რომელსაც უშუალოდ „გასაღების“ კონტროლის ფუნქცია მიენიჭება“.

ფარულ საგამძიებო მოქმედებებთან დაკავშირებულ საკანონმდებლო ცვლილებებზე მუშაობა იანვრიდან დაიწყება. იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე **ეკა ბესელია**, ამბობს, რომ მუშაობა სამუშაო ჯგუფის ფორმატში წარიმართება. ამ ეტაპზე, მისი თქმით, დაწყებულია კვლევითი საქმიანობა, რაც სხვადასხვა ქვეყნის მოდელებისა და გამოცდილების გაცნობას გულისხმობს, უკვე თებერვლისთვის კი პარლამენტს განსახილველად წარედგინება საკანონმდებლო ცვლილებების პაკეტი დღეს მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური ფლობს ე. წ. „გასაღებს“, რომლის დახმარებითაც მათ ხელში ექცევა ყველა ის ტექნიკური შესაძლებლობა, რომლითაც ქვეყანაში მიყურადება ხორციელდება. სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურს აქვს უფლება კონკრეტული ინტერნეტპროვაიდერიდან თუ მობილური ოპერატორიდან მოიპოვოს ინფორმაცია ისე, რომ ამის შესახებ არანაირი ინფორმაცია არ ექნება, მაგალითად, თავად მობილურ ოპერატორს. ამასთანავე, არასამთავრობო ორგანიზაციების მტკიცებით, კანონმდებლობის მიხედვით, საკმაოდ სუსტია კონტროლის მექანიზმებიც, ანუ, როგორც ისინი ფიქრობენ, საზოგადოება არ არის დაზღვეული, რომ სახელმწიფო ამ უფლებამოსილებას ბოროტად არ იყენებს. „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოს“ საპარლამენტო მდივანი **ლიკა საჯაია** რადიო „თავისუფლებასთან“ საუბრისას ამბობს, რომ საკონსტიტუციო სასამართლომ სწორედ ამაზე მიუთითა თავის გადაწყვეტილებაში და აღნიშნა, რომ როდესაც ტექნიკური აღჭურვილობა არის იმ ორგანოს ხელში, რომელიც ახორციელებს გამოძიებას ან პროფესიულად არის დაინტერესებული, მოიპოვოს მეტი ინფორმაცია, ეს წარმოადგენს უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების, ადამიანის უფლებების დარღვევის რისკს. ლიკა საჯაიას თქმით, სწორედ ამიტომაა მნიშვნელოვანი, რომ მიყურადების ტექნიკური შესაძლებლობა იყოს ნეიტრალური, დამოუკიდებელი ორგანოს ხელში.

გარდა ამისა, ლიკა საჯაიასავე განმარტებით, არასამთავრობო ორგანიზაციების კონცეფციის მიხედვით, სააგენტო გაკონტროლდება არა მხოლოდ პარლამენტის მიერ, არამედ პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის მხრიდანაც, ანუ, მისი თქმით, განხორციელდება მიყურადების ორმაგი კონტროლი. არასამთავრობო ორგანიზაციები მათ მიერ შემუშავებულ პროექტს ე. წ. მოსმენების შესახებ პარლამენტს უახლოეს მომავალში – სავარაუდოდ, იანვარში – წარუდგენენ.

ნინო თარხნიშვილი

როდემდე გაგრძელდება რუსეთ-თურქეთის პოლიტიკური ფლირტი?

როგორია მოსკოვისა და თბილისის ინტერესები?

საქართველო ეკონომიკურადაც და პოლიტიკურადაც ყველაზე მეტად დაზარალდა. მოკლე დროში რესპუბლიკამ გადაიტანა სამოქალაქო ომი, სამხედრო მოქმედებები ცხინვალის რეგიონსა და აფხაზეთში. შესაბამისად, საქართველომ უდიდესი დემოგრაფიული ზიანი მიიღო: ქვეყანა მილიონობით მოქალაქემ დატოვა, ათობით ათასი სიცოცხლე კონფლიქტებმა შეიწირა, ასობით ათასი კი ლტოლვილი და დევნილი გახდა.

რუსულ გამოცემა „Стратегия России“-ს მიერ გამოქვეყნებულ ვრცელ სტატიაში გაანალიზებულია საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ პოსტსაბჭოთა სივრცეში შექმნილი სიტუაცია, ახალი დამოუკიდებელი სახელმწიფოების მდგომარეობა და მათ შორის ურთიერთობის, კერძოდ, საქართველოსა და რუსეთის ურთიერთდამოკიდებულების პრობლემები. პუბლიკაციაში ნათლადაა გამოკვეთილი მთავარი მომენტები: რა სურს მოსკოვს თბილისისგან და პირიქით, რა ინტერესები აქვს საქართველოს რუსეთთან.

„საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ წარმოქმნილ დამოუკიდებელი სახელმწიფოების საჭესთან პოლიტიკური ელიტის ისეთი წარმომადგენლები აღმოჩნდნენ, რომლებიც ყოველთვის არ იყვნენ მზად საკუთარი ქვეყნების მართვისათვის. „საბჭოთა ნომენკლატურის“ გამოყენებაზე უარმა რესპუბლიკები ეკონომიკურ დაცემამდე მიიყვანა, რომლის შედეგადაც, ბუნებრივია, ყველა დარგი დაზარალდა. ხელისუფლებაში მოსულთაგან, რასაკვირველია, ბევრი ძლიერი პიროვნება იყო, მაგრამ მათ არ ჰქონდათ სახელმწიფოს მართვის გამოცდილება, თანაც ყველაზე უბადრუკად ამ ლიდერების „ელიტური“ გარემოცვა გამოიყურებოდა.

შედარებით ნაკლებად დაზარალდნენ ის რესპუბლიკები, რომლებიც გარკვეულ დონეზე ძველი საბჭოთა ნომენკლატურის რესურსს იყენებდნენ. ახლებმა კი, რომლებიც ნაკლებად კომპეტენტური იყვნენ, მრავალ შეცდომას უშვებდნენ როგორც საშინაო პოლიტიკის, ასევე საგარეო პოლიტიკის სფეროში, სახელმწიფოთაშორისო ურთიერთობებში. შეიძლება ითქვას, ქვეყნები და ხალხები ახალ პირობებში ცხოვრებას იწყებდნენ.

საქართველო ეკონომიკურადაც და პოლიტიკურადაც ყველაზე მეტად დაზარალდა. მოკლე დროში რესპუბლიკამ გადაიტანა სამოქალაქო ომი, სამხედრო მოქმედებები ცხინვალის რეგიონსა და აფხაზეთში. შესაბამისად, საქართველომ უდიდესი დემოგრაფიული ზიანი მიიღო: ქვეყანა მილიონობით მოქალაქემ დატოვა, ათობით ათასი სიცოცხლე კონფლიქტებმა შეიწირა, ასობით ათასი კი ლტოლვილი და დევნილი გახდა. იყო მომენტები, როცა ქართველი ხალხი იმედით შესცქეროდა ტელევიზორის ეკრანს და ფოთის პორტში ამერიკიდან შემოსული ხორბლითა და ჰუმანიტარული ტვირთით სავსე თითოეული გემის დანახვაზე სიხარულით თრთოდა.

მძიმე დრომ გვერდი რუსეთსაც არ აუარა. ეგორ გაიდარის „შოკური თერაპიის“ შემდეგ მოსახლეობა გაღარიბდა, დაიწყო სახელმწიფო ქონების ველური გადანაწილება: პრივატიზაციის პროცესი ხშირად უსამართლო იყო და კრიმინალური გარჩევების ფონზე მიმდინარეობდა.

რუსეთი 1990-იან წლებში გარდაუვალ დაშლას ბირთვული არსენალის არსებობამ გადაარჩინა: შეერთებული შტატები შიშობდა, რომ საბჭოთა ატომური ბომბები შეიძლებოდა „სხვებს“ ჩავარდნოდათ ხელში, ამიტომაც ვაშინგტონმა მხარი არ დაუჭირა რუსეთის დაშლის სცენარს, თუმცა მსგავსი გეგმა არსებობდა. რუსეთის დაშლა თვით ჩეჩენი სეპარატისტებისადმი დახმარების მიზანსაც არ წარმოადგენდა, ამ შემთხვევაში მოტივი უფრო აზერბაიჯანული ნავთობის ექსპორტის ბაქო-ნოვორისიისკის მარშრუტის უსაფრთხოების უზრუნველყოფა იყო. „ბრიტიშ პეტროლეუმი“ ჩრდილოეთის მარშრუტს ყველაზე რენტაბელურად მიიჩნევდა, მაგრამ ჩრდილოეთ კავკასიაში გაჭიანურებული კონფლიქტის გამო საჭირო გახდა ნავთობსადენისათვის სამხრეთის მარშრუტის ძიება. ასე დაიბადა ბაქო-თბილისი-ჯეიჰანი. და როგორც კი სამხრეთის მილსადენის მშენებლობა გადაწყდა, საქართველოს პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ სასწრაფოდ დახურა „პანკისის ხეობის“ პროექტი და იქ დემონსტრაციულად მოდების ჩვენება ჩაატარა. ქვეყნის ტერიტორიაზე ნავთობ-გაზის მილსადენების მშენებლობა პრეზიდენტზე მოწყობილმა ტერაქტმაც კი ვერ შეაჩერა.

რუსეთის ხელისუფლებაში ახალი თაობის მიზანმიმართული წარმომადგენლების მოსვლის შემდეგ სიტუაცია იცვლება: რუსეთის ეკონომიკური გაძლიერების კვალობაზე ძლიერდება მისი ავტორიტეტი საერთაშორისო ურთიერთობებშიც. ქვეყნის დღევანდელი ხელისუფლების კიდევ ერთ მიღწევად შეიძლება ჩაითვალოს ის, რომ მან მოსახლეობას ეროვნული სიამაყის გრძნობა დაუბრუნა. სწორედ ამ გრძნობის განმტკიცებაზე „მუშაობდა“ 2008 წელს საქართველოში, 2014 წელს უკრაინაში და 2015-2016 წლებში სირიაში განხორციელებული სამხედრო ოპერაციები.

მაგრამ დაისმის კითხვა – მოუტანს თუ არა რუსეთს გრძელვადიან პერსპექტივაში საქართველოსა და უკრაინის ინტერესების ხარჯზე განხორციელებული ასეთი სამხედრო-პოლიტიკური წარმატება? ხომ არ აჩქარდა რუსეთის ხელისუფლება, როცა საქართველოსა და უკრაინის წინააღმდეგ ძალისმიერ აქციას მიმართა? ქართველი და უკრაინელი ხალხი ხომ თანდათან ბრძენდება, გამოცდილებას იღებს და თან არაფერს ივიწყებს... მართალია, მათ დასავლეთის მიმართ უკვე იმედი უცრუვდებათ, ქრება რომანტიზმი „მარშალის ახალ გეგმაზე“, მაგრამ როგორი რჩება მათი დამოკიდებულება რუსეთის მიმართ?

საქართველოს წინააღმდეგ 2008 წლის აგვისტოში განხორციელებული სამხედრო აქცია და აფხაზეთ-ცხინვალის რეგიონის დამოუკიდებლად აღიარება აღქმული იქნა როგორც სიმეტრიული პასუხი დასავლეთის მიერ კოსოვოს დამოუკიდებლად აღიარებაზე. გასაგებია, რომ რუსეთის მხარდაჭერა აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონისადმი თავიდანვე მხოლოდ ერთ მიზანს ემსახურებოდა – საქართველოს „დაჭერას“, „არგაშვებას“. გასაგებია ისიც, რომ ნატოს წამყვანი ქვეყნები წინააღმდეგი იქნებიან ალიანსის წევრად ისეთი საქართველო მიიღონ, რომელსაც ტერიტორიული პრობლემები გააჩნია მეზობელ რუსეთთან – ბირთვულ სახელმწიფოსთან და გაეროს უშიშროების საბჭოს მუდმივ წევრთან.

მაგრამ რა მოხდება იმ შემთხვევაში, თუ საქართველოს პოლიტიკური ელიტა, გარკვეული გარემოებების გამო, იძულებული გახდება (ან მას იძულებულს გახდიან) აღიაროს ან დაივიწყოს აფხაზეთი იმის გამო, რომ თბილისს ნატოში გაწევრიანებას და პერსპექტივაში – ევროკავშირში მიღებასაც აღუთქვამენ? დაახლოებით ასე აიძულეს სერბეთიც და, შესაბამისად, ბელგრადმა კოსოვოს დაბრუნებისათვის აქტიური ბრძოლა შეწყვიტა. ამ შემთხვევაში საქართველოსათვის ნატოში გაწევრიანების გზაზე ის უკანასკნელი ბარიერი, რომელსაც საფრანგეთი და გერმანია არგუმენტად იყენებენ, ფაქტიურად, აღარ იქნება. სწორედ ასეთი პოზიციის დეკლარირებას ახდენდა საქართველოს რესპუბლიკური პარტია, რომელიც პროდასავლურად ითვლება და რომელმაც 2016 წელს საქართველოს ტერიტორიაზე აშშ-ის სამხედრო ბაზის განთავსება ითხოვა. დასავლეთიც, ცხადია, წინააღმდეგი არ იქნება, რომ სიტუაცია ასეთი სცენარით განვითარდეს.

მაინც, როგორია რუსეთისა და საქართველოს ინტერესები ერთმანეთის მიმართ?

ა) რუსეთის ინტერესები

რუსეთისათვის არასასურველია საქართველოს ნატოში შესვლა და მის ტერიტორიაზე ჩრდილოატლანტიკური ალიანსის ინფრასტრუქტურის განთავსება. ნატოს ლიდერების ყველა ისეთი ტიპის განცხადებები, რომ რუსეთის საზღვრებთან ახლოს ჩვენი მოქმედება რუსეთის წინააღმდეგ არაა მიმართულიო, ცარიელი სიტყვებია და, ბუნებრივია, მათი მოსკოვში არავის სჯერა: საქართველოს ტერიტორიიდან რუსეთის ცენტრის მიმართულებით გაშვებულ რაკეტას და გაფრენილ თვითმფრინავს მიზნის მისაღწევად ხომ ძალიან ცოტა დრო ჭირდება...

რუსეთს ნამდვილად აქვს შიშის საფუძველი კიდევ ერთი მიზეზითაც: საქართველოს მოსაზღვრე ჩრდილოეთ კავკასიის რესპუბლიკების პოლიეთნიკურობისა და სეპარატიზმის გამო. აქ ყოველთვის იქნებიან ძალები, რომლებიც რუსეთისა და საკუთარი დამოუკიდებლობის მიზნით იბრძოლებენ და რაც ყველაზე საშიშია, ბრძოლა იქნება ისლამის დროშით, მისი ყველაზე უარესი, ყველაზე რადიკალური გამოვლენით – მაგალითად, „ისლამური სახელმწიფოს“ („დაიშ“) საზიან. სირიაში ალავიტებსა და ადგილობრივ სუნიტებს შორის პრობლემები ყოველთვის იყო, მაგრამ ეს პრობლემები სწორედ მაშინ გამწვავდა, როცა მათში ჩარევა უცხოეთიდან სპეციალურად მოხდა (ფინანსურად და ორგანიზაციულად). მოსკოვისათვის საქართველოს ტერიტორიაზე ნატოს ინფრასტრუქტურის სავარაუდო განლაგება ამ მხრივაც საშიშია – ვაითუ, ეს ინფრასტრუქტურა ნატომ ჩრდილოეთ კავკასიაში რადიკალური ისლამისა და ადგილობრივი სეპარატიზმის გასაღვივებლად გამოიყენოსო. საზღვრის ტოტალური კონტროლი კი, კავკასიის ქედის რთული რელიეფის გამო, შეუძლებელია.

არსებობს კიდევ რუსეთის პოლიტიკური ელიტის ემოციური განწყობაც: „უმადურ“ ქართველებს ჩვენთან „მეგობრობა“ აღარ სურთ (აშკარაა, რომ „მეგობრობაში“ „მორჩილება“ იგულისხმება), ჩვენ ეს ქვეყანა გავაერთიანეთ, ვიხსენით დაშლა-დაქუცმაცებისაგან, დავიცავით ოსმალებისა და სპარსელებისაგან, გადავარჩინეთ ქართული გენოფონდი, განათლება, კულტურა და მეცნიერება, ავაშენეთ თანამედროვე ინფრასტრუქტურა“ და ა.შ. ცხადია, ამგვარ ნათქვამში გარკვეული სიმართლე არის, მაგრამ საქართველოს ხელისუფლებისა და მასმედიის 25-წლიანი ანტირუსული რიტორიკა, რომელიც ხშირად თვით რუსეთის მიერ არის პროვოცირებული, წარსული და დღევანდელი ურთიერთობების ღრმა ანალიზისა და ობიექტური შეფასებისათვის სულ უფრო ნაკლებ სივრცეს ტოვებს.

რუსეთს ასევე აინტერესებს საქართველოს შავი ზღვისპირეთი, შავ ზღვაზე გასასვლელიც. რუსეთის მთავარი ნავსადგური შავ ზღვაზე – ნოვოროსიისკი ყოველთვის გამოსაყენებელი არ არის, მისი ექსპლოატაცია, განსაკუთრებით ზამთრობით, ძალიან რთულდება. რუსეთს რომ საქართველოსთან კარგი ურთიერთობა ჰქონდეს, მაშინ იოლი იქნებოდა ირანის ნავთობ-გაზის ევროპაში გატანა – სომხეთის (ან აზერბაიჯანის) ტერიტორიის გავლითა და საქართველოს შავი ზღვის ნავსადგურების მეშვეობით. ასევე საინტერესოა რუსეთისათვის სომხეთთან (ევრაზიული კავშირის წევრთან) ინტეგრირების პრობლემის განეიტრალებაც. დღეს რუსეთსა და სომხეთს ერთმანეთთან მხოლოდ ერთი ავტოსატრანსპორტო მაგისტრალი აკავშირებთ, რომელიც საქართველოს ტერიტორიაზე გადის და რომლის გამტარუნარიანობა საკმაოდ ლიმიტირებულია (ბუნებრივი პირობების გამო). მაგრამ ხომ არის მეორე გზაც, ვთქვათ, აფხაზეთის გავლით – როგორც საავტომობილო, ასევე სარკინიგზო? უკვე ორი ათეული წელია, რუსეთი და სომხეთი დაბეჯითებით ითხოვენ თბილისისაგან აფხაზეთის მონაკვეთზე ტრანსპორტის მოძრაობის აღდგენას. საქართველოს ხელისუფლება თავს იკავებს ამ ნაბიჯის გადადგმისაგან. თავის დროზე ედუარდ შევარდნაძე მზად იყო ეს გაეკეთებინა, მაგრამ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ გალის რაიონში ლტოლვილები დაბრუნდებოდნენ. აქვე ვიტყვით, რომ გალის რაიონში დევნილების დაბრუნება რომ მოხდეს, ეს იქნებოდა რუსეთის მიერ გადადგმული ყველაზე პოზიტიური ნაბიჯი ბოლო 25 წლიანი ურთიერთობის მანძილზე.

დღის წესრიგშია აგრეთვე თურქეთის ექსპანსიის შეკავების აუცილებლობაც რუსეთის საზღვრებისაკენ, ჩრდილოეთ კავკასიაში... ექსპანსია აშკარად შეინიშება, ვთქვათ, აფხაზეთში. არავისთვის საიდუმლო არ არის, რომ გუდაუთელი აფხაზები საკმაოდ სიმპათიურად არიან განწყობილი თურქეთისადმი და მხარს უჭერენ ანკარის გავლენის გაფართოებას აფხაზეთის ტერიტორიაზე, ხოლო აფხაზეთიდან უკვე პირდაპირ ჩრდილოეთ კავკასიისაკენ.

მოსკოვისთვის გასაგებია, რომ თურქული ექსპანსიის შეჩერება-შეკავება თბილისთან თანამშრომლობის გარეშე შეუძლებელია. აჭარაშუ უკვე სამი ათასს გადააჭარბა თურქეთის რელიგიურ სკოლებში განათლებამიღებული ახალგაზრდების რაოდენობამ. თითქმის ამდენივეა აფახაზეთშიც. მიხეილ სააკაშვილის პრეზიდენტობის დროს აჭარის ავტონომიაში ათასობით თურქი ბიზნესმენი დამკვიდრდა, რომლებიც თურქეთის მთავრობის დახმარებით სარგებლობენ, წარმატებული ბიზნესი აქვთ და მალე ადგილობრივ სათვისტომოსაც ჩამოაყალიბებენ, რომელიც დროთა განმავლობაში, ალბათ, გაძლიერდება.

თურქეთში ასეთი კანონი არსებობს: თუ ამ ქვეყნის მოქალაქე საზღვარგარეთ მაღაზიას გახსნის და თურქულ საქონელს გაყიდის, მაშინ მას თურქეთის მთავრობა შენობის დაქირავების კომპენსაციას უხდის და ბიზნესის განვითარებისათვის შეღავათიან კრედიტს აძლევს. სწორედ ეს კანონი არის ის ძირითადი მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს თურქეთის ექს-პრემიერის აჰმედ დავუთოღლუს იდეების რეალიზებას. როგორც ცნობილია, ამ იდეებში ნეოსმანური სივრცის აღდგენა იგულისხმება, თანაც „რბილი ძალით“, შეიარაღებული ბრძოლის გარეშე. ამ კანონის მხარდაჭერით დაიწყო თურქული ექსპანსია საქართველოში, ბალკანეთის ქვეყნებში... უკვე დადგა საკითხი ბათუმში დიდი მეჩეთ-სასწავლებლის აშენების თაობაზე, თურქეთის დაფინანსებით. ყველასათვის გასაგებია, რომ რუსეთ-თურქეთის ტაქტიკური პოლიტიკური ფლირტი, რომლის მოწმენიც დღეს ვართ, დიდხანს არ გაგრძელდება...

ბ) საქართველოს ინტერესები

საქართველო თავისი 30-საუკუნოვანი ისტორიის მანძილზე ერთიანი და მეტ-ნაკლებად დამოუკიდებელი სახელმწიფო მხოლოდ 200 წლის განმავლობაში იყო. ქართული ელიტა აცნობიერებს, რომ იმ კატასტროფის მიუხედავად, რომელიც ქვეყანას საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ დაატყდა თავს, ყველაზე ძვირფასი, რაც შენარჩუნდა, ეს ქართული სახელმწიფოებრიობაა. ამიტომაც ქვეყანას, მის მოსახლეობას დამოუკიდებლობის დაკარგვის შიში აქვს. შესაბამისად, საქართველო, თავისი სუვერენიტეტისა და სახელმწიფოებრიობის შესანარჩუნებლად ეძებს მაქსიმალურ გარანტიებს. ამჟამად არსებული უსაფრთხოების სისტემებიდან თბილისს ამ მხრივ ყველაზე მეტ გარანტიებს ნატოს წევრობა აძლევს, კერძოდ, ალიანსის წესდების მეხუთე პუნქტი.

„სტრატეგია როსიი“
მოგვაწოდა
„ნიუსპრესმა“

ხანგრძლივი თამაში

რამდენადაა დამოკიდებული სახელმწიფოს ამა თუ იმ ფორმით მმართველის ძალაუფლების ხანგრძლივობა საბოლოო შედეგსა და იმ სიკეთეზე, რაც მის მმართველობას ერისთვის მოაქვს? რუსეთელებმა ამის გაკეთება ყველაზე დიდი ხნის მანძილზე ძვეყნის მმართველთა მოკლე დახასიათების მეშვეობით სცადეს, რასაც წინამდებარე მასალაში გთავაზობთ.

მაშ ასე, რუსეთის ყველაზე დიდი ხნის მანძილზე მმართველთა ათეულის ჩამკეტია

№10 ალექსანდრე II განმათავისუფლებელი (1855-1881 წ.წ.), 26 წელი.

<u>მიღწევები:</u> ბატონყმობის გაუქმება. რუსეთისთვის შუა აზიისა და შორეული აღმოსავლეთის მიერთება. 1877-1878 წლების წარმატებული ომი ოსმალეთთან. მეტსახელი „განმათავისუფლებელი“ მას ბულგარელებმა მისცეს, რომლებიც მან თურქეთის 500-წლიანი მონობისგან ისხნა.

<u>ჩავარდნები:</u> 1867 წელს ალასკის გაყიდვა. საშინელი კორუფცია, ქვეყნის საგარეო ვალის 6 მილიარდ რუბლამდე გაზრდა. მის რეფორმებს (მიწის, სასამართლოსა და სამხედროს) წმიდა სინოდის ობერ-პროკურორმა კ. პობელონოსცევმა „დანაშაულებრივი“ უწოდა.

№9 მეფე ვასილი III (1505-1533 წ.წ.) 28 წელი.

<u>მიღწევები:</u> მოსკოვის სათავადოს მიუერთა რიაზანი და ფსკოვი, ლიტვას წაართვა სმოლენსკი. მოაწესრიგა და გაამყარა როგორც საერო, ასევე სასულიერო ძალაუფლების ვერტიკალი.

<u>ჩავარდნები:</u> საბოლოოდ ამოძირკვა ვეჩეს — სახალხო კრების — უფლება, მოსახლეობას სათათბირო ხმის უფლებაც აღარ ჰქონდა. ვეჩეს შეკრების მცდელობაზე სიკვდილით დასჯა შემოიღო. ფიზიკურად გაანადგურა — ცეცხლს მისცა სასულიერო პირთა ის ნაწილი, ვინც მის პოლიტიკას არ იზიარებდა.

№8. ნიკოლოზ I პალკინი. (1825-1855 წ.წ.) 30 წელი.

<u>მიღწევები:</u> პირველი რკინიგზის გაყვანა. იმპერიის კანონთა მოწესრიგება. ჩრდილოეთ კავკასიაში 50-წლიანი ომის მოგება, შამილის დატყვევება, პოლონელთა ამბოხის ჩახშობა. გლეხობამ სკოლები, საავადმყოფოები და ამორჩევითი სასამართლოები მიიღო.

<u>ჩავარდნები:</u> ყირიმის ომის წაგება. შავი ზღვის საზღვაო ფლოტის დაკარგვა. ჯარში სასჯელების გამკაცრება, რის გამო „პალკინი“ (მროზგავი) ეწოდა: 100-დან 40 ჯარისკაცის ცემით სიკვდილამდე მიყვანა ნორმად ითვლებოდა.

№7. დიმიტრი დონელი (1359-1389 წ.წ.) 30 წელი.

<u>მიღწევები:</u> მოსკოვი საბოლოოდ იქცა რუსეთის დედაქალაქად. დაიწყო ვერცხლის ფულის მოჭრა. 1380 წელს კულიკოვოს ველზე დამარცხებულ იქნა თათრები.

<u>ჩავარდნები:</u> ლიტვასთან წაგებულია სამი ომი, დაიკარგა ტვერი, სმოლენსკი, რჟევი. უთანხმოება მოუვიდა მიტროპოლიტ კიპრიანესთან. მხედველობიდან გამორჩა ყაენ თოხთამიშის აღზევება, რომელმაც კულიკოვოს ველზე მარცხიდან ორი წლის შემდეგ მოსკოვი გადაწვა.

№6. ალექსი მიხეილის ძე უმშვიდესი (1645-1676 წ.წ.) 31 წელი.

<u>მიღწევები:</u> უკრაინის რუსეთთან მიერთება. დაფუძნებულია სიმბირსკი, ნერჩინსკი, ირკუტსკი და პენზა, შედგენილია და გამოცემული რუსეთის კანონთა პირველი კრებული —„სობორნოე ულოჟენიე“, 1649 წელი.

<u>ჩავარდნები:</u> დაუფიქრებელი საეკლესიო რეფორმა — მაშინ დაიწყო რასკოლნიკობის (გამხლეჩველთა) მოძრაობა. ფულადმა და საგადასახადო რეფორმებმა სპილენძისა და მარილის ამბოხები გამოიწვიეს. რუსეთის საზღვაო ფლოტის აგების ცდა წარუმატებლად დასრულდა.

№5. იოსებ სტალინი (1922-1953 წ.წ.) 31 წელი.

<u>მიღწევები:</u> 10 წელიწადში სსრ კავშირი ინდუსტრიულ სახელმწიფოდ იქცა. დაძლეულ იქნა წერა-კითხვის უცოდინარობა. მოგებულ იქნა მეორე მსოფლიო ომი. ქვეყანას გაუჩნდა ატომური იარაღი. დაიწყო სარაკეტო-კოსმოსური პროგრამა.

<u>ჩავარდნები:</u> თანამებრძოლთა მასობრივი რეპრესიები. რევოლუციური სამხედრო საბჭოს 22 წევრიდან 14 ხალხის მტრად გამოცხადდა. მღვდელთა, კაზაკთა, ინტელიგენტთა უმეტესი ნაწილის ფიზიკური განადგურება.

№4. ეკატერინე II დიდი (1762-1796 წ.წ.) 34 წელი.

<u>მიღწევები:</u> იმპერიის ტერიტორიამ მეოთხედით მოიმატა, მიერთებულ იქნა ყირიმი. არ წაგებულა არც ერთი ომი, საბოლოოდ გადაწყდა პოლონეთის პრობლემა.

<u>ჩავარდნები:</u> ზაპოროჟიეს სეჩის განადგურება. კორუფცია, ფავორიტიზმი, ხაზინის ქურდობა ტრადიციად იქცა. ინფლაციამ არნახულ დონეს მიაღწია — 1769 წლიდან მოყოლებული ქაღალდის ფული ათ წელიწადში სამმაგად გაუფასურდა.

№3. ივანე III. დიდი (1452-1505 წ.წ.) 43 წელი.

<u>მიღწევები:</u> მოსკოვის სათავადოსთვის ტვერისა და ნოვგოროდის მიერთება. 1480 წელს განადგურდა ოქროს ურდო. რუსეთმა მსოფლიო სახელმწიფოს სტატუსი მიიღო. შეიქმნა კანონთა პირველი საერთო რუსული კრებსი —„1497 წლის სუდებნიკი“. მოსკოვში დაიწყო კრემლის მშენებლობა.

<u>ჩავარდნები:</u> ზედმეტი რჯულ-მომთმენლობა — რუსეთში ტოტალიტარული სექტების შეღწევა. პირველი ნაბიჯი გლეხთა დასაბატონყმებლად — მანამდე მათი პატრონის შეცვლა ნებისმიერ დროს და თავიანთ ნებაზე შეეძლოთ, ამიერიდან, მხოლოდ იურის დღეს.

№2. პეტრე I დიდი (1682-1725 წ.წ.) 43 წელი.

<u>მიღწევები:</u> გამარჯვება მსოფლიოში უძლიერეს — შვედეთის ჯარზე. ბალტიის ზღვაზე გასვლა და იქ საბოლოოდ გამაგრება. რუსეთი იმპერია ხდება. სერიოზული რეფორმები ტარდება ფინანსების, მმართველობის, სამხედრო და განათლების სფეროებში. ტექნოლოგიური აღმავლობა.

<u>ჩავარდნები:</u> ომებში დანაკარგებისა და ქვეყნიდან მეზობელ ქვეყნებში გაქცევის გამო მოსახლეობის 30-პროცენტიანი კლება. პატრიარქობის ინსტიტუტის გაუქმება და ეკლესიის სახელმწიფო უწყების დონემდე დაქვეითება. ალექსი უფლისწულის მკვლელობა. ტახტის მემკვიდრეობითობის საქმის სრული მოშლა და, როგორც შედეგი — კარის გადატრიალებათა ეპოქა.

№1. ივანე IV მრისხანე (1533-1584 წ.წ.) 51 წელი

<u>მიღწევები:</u> რუსეთისთვის ყაზანისა და ასტრახანის მიერთება. აღმოსავლეთიდან მუქარის გაუვნებელყოფა. ციმბირის დაპყრობა. საერო და სასულიერო სფეროებში კანონმდებლობის მოწესრიგება. რეგულარული ჯარის — სტრელცების — გაჩენა. მდაბიოთათვის საეკლესიო-სამრევლო სასწავლებელთა სისტემის ჩამოყალიბება. საერთაშორისო პოლიტიკის განვითარება — სავაჭრო-კულტურულ ურთიერთობათა დამყარება ინგლისთან, ესპანეთთან და ჩინეთთან. კავკასიასთან ურთიერთობათა მოწესრიგება.

<u>ჩავარდნები:</u> ქვეშევრდომთა მიმართ ზედმეტად სასტიკი მოპყრობა — მისი მმართველობის დროს ქვეყნის მოსახლეობა 10-დან 7 მილიონ კაცამდე შემცირდა. ლიტვასთან ომის წაგება და ბალტიკის დაკარგვა. საკუთარი შვილისა და ბავშვობის მეგობრის, მიტროპოლიტ ფილიპეს მკვლელობები. ევროპაში რუსეთის მიერ „ბოროტების იმპერიის“ სახის დამკვიდრება.

მოამზადა
ოთარ ტურაბელიძემ

ძილი ნებისა, ძვირფასებო!

ძილი — ესაა ფიზიოლოგიური პროცესი, რომელიც ჩვენს ორგანიზმს მოდუნებისა და დასვენების საშუალებას აძლევს. ძილის დროს ორგანიზმის მოქმედება და გარე სამყაროზე რეაგირება ნელდება.

საგულისხმოა, რომ 70 წლის კაცს ძილში... 23 წელი აქვს გატარებული. მძინარე კაცი ხვრინავს მარტო ნელი ძილის ფაზაში, თანაც ამ დროს სიზმრებს არ ხედავს.

ძილი ჩვენ მიღებული ინფორმაციის გადამუშავებასა და შენახვაში გვეხმარება, T-ლიმფოციტების აქტივიზაციის ხარჯზე კი, რომლებიც ვირუსულ და რესპირატორულ დაავადებებს ებრძვიან, იმუნიტეტს აღადგენს. ძილის დროს ცენტრალური ნერვული სისტემა შინაგან ორგანოთა მუშაობის რეგულირებას ახდენს.

უძილობა — უმძიმესი განსაცდელია. რამდენიმე დღეში ადამიანს გონება ებინდება, ეწყება ჰალუცინაციები. ფსიქოლოგიური ზეწოლის ამ ფორმას დაკითხვების დროს იყენებენ და სადისტურ წამებადაა მიჩნეული. საშინელი სიზმრების მიზეზი შეიძლება გახდეს სულიერი პრობლემები, ჭარბი აღგზნებულობა, ძილის წინ ცხიმიანი საკვების მიღება, კვების რეჟიმის მკვეთრი შეცვლა.

სადილის შემდგომი ძილი-დასვენება — სიესტა — ცხელი ქვეყნების მრავალი ხალხის კულტურული ტრადიციაა. მეცნიერები ირწმუნებიან, რომ კვირაში სამჯერად სიესტა გულის შეტევით სიკვდილის რისკს 37 პროცენტით ამცირებს. ჯანმრთელ ადამიანს დასაძინებლად 8-15 წუთი სჭირდება, მაგრამ თუკი დასაძინებლად თქვენთვის 5 წუთიც კმარა, მაშასადამე ძილი გამუდმებით არ გყოფნით.

თვალისჩინდაკარგული ადამიანები ძილში სურათებს არ ხედავენ, თუმცა კი ესმით და აღიქვამენ ყველაფერს, რაც სიზმარში ხდება. თამბაქოს არამწეველი ადამიანები, მწეველებისგან განსხვავებით, უფრო ხასხასა სიზმრებს ხედავენ, ზოგადად კი, ადამიანს თავისი სიზმრების მხოლოდ 10 პროცენტი ამახსოვრდება.

განცხადება

2017 წლის 21 თებერვალს 14:00 საათზე მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციულ შენობაში (მის: ანტიოქიის ქ. №7) გაიმართება შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის (შ-64) ნარეკვავი-მცხეთა-რკინიგზის სადგურის მე-6 კმ-ზე, ქ. მცხეთაში მდ. მტკვარზე სახიდე გადასასვლელის მშენებლობის პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების (გზშ) ანგარიშის საჯარო განხილვა. შეხვედრის მიზანია დაგეგმილი სამუშაოების ზემოქმედების არეალში მოქცეული ადგილობრივი მოსახლეობის ინფორმირება.

საზოგადოების წარმომადგენლებს დაგეგმილ საქმიანობასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის გაცნობის საშუალება ექნებათ შემდეგ მისამართებზე:

- **საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის ვებ-გვერდზე:** www.georoad.ge
- **ქ. მცხეთის გამგეობის ადმინისტრაციულ შენობაში (ანგარიშის ნაბეჭდი ვერსია);**

გთხოვთ წერილობითი შენიშვნები და კომენტარები მიაწოდოთ ქვემოთ მითითებულ პირებს:

რუსუდან ღოლიჯაშვილი ტელ: 599214048; E-mail: rusudani@gmail.com

საზოგადოების მოსაზრებების წარდგენის ბოლო ვადაა დაგეგმილი საქმიანობის შესახებ ინფორმაციის გამოქვეყნებიდან 45 დღე.

რეკლამა
„საქართველოს რესპუბლიკაში“
სულხან-საბას ქ. №3.
29 3-13-34; 599 797679

◎ დაჯილდოება

სპორტის სამინისტროს რჩეულნი

ძალოსანი ლაშა ტალახაძე საქართველოში პირველია

2016 წელს სხვადასხვა რანგის შეჯიბრებებში ქართველმა სპორტსმენებმა სხვადასხვა სინჯის 844 მედალი დაიმსახურეს, რაც წინა წელთან შედარებით 200 ჯილდოთი მეტია. რიოს ოლიმპიადაზე ჩვენებმა 7 მედალი მოინაგრეს, მათ შორის – ორი ოქროსი, ერთი ვერცხლისა და ოთხი ბრინჯაოსი. წლევანდელი შედეგების გათვალისწინებით სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრომ შეაჯამა მთელი წლის განმავლობაში გაწეული მუშაობა და სხვადასხვა ნომინაციაში საუკეთესოები გამოავლინა. საზეიმო ღონისძიება სასტუმრო „ჰუალინგში“ გაიმართა. გალა-დაჯილდოებაზე საქართველოს 2016 წლის საუკეთესო სპორტსმენად დაასახელეს ძალოსნობაში რიოს ოლიმპიური თამაშების გამარჯვებული, მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონი, 23-წლამდელთა ევროპირველობის ოქროსმედალოსანი და მსოფლიოს რეკორდსმენი ლაშა ტალახაძე, რომელსაც მთავარი ჯილდო სპორტის მინისტრმა ტარიელ ხეჩიკაშვილმა გადასცა.

დანარჩენ 8 ნომინაციაში გამარჯვებულად ცნეს:

1. **საუკეთესო ახალგაზრდა სპორტსმენი** – ზვიად პატარიძე, ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონი ახალგაზრდებს შორის.

2. **საუკეთესო პარასპორტსმენი ვაჟი** – ზვიად გოგოჭური, ძიუდოში 2016 წლის მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონი, რიოს პარალიმპური თამაშების გამარჯვებული; **საუკეთესო პარასპორტსმენი ქალი** – პარამოფარიკავე ირმა ხეცურიანი, მსოფლიოს და ევროპის პირველობების ვერცხლის მედალოსანი, მსოფლიოს თასის ორგზის გამარჯვებული და პრიზიორი, რიოს პარალიმპური თამაშების მონაწილე.

3. **საუკეთესო სპორტსმენი არაოლიმპიურ სახეობაში** – ანდრეი ზინჩენკო, ევროპის ჩემპიონი კარატეში,

4. **საუკეთესო მსაჯი** – ედიშერ მაჩაიძე (ჭიდაობა),

5. **საუკეთესო სპორტული ფედერაცია** – ძიუდოს ეროვნული ფედერაცია,

6. **საუკეთესო გუნდი** – კალათბურთის ეროვნული ნაკრები,

7. **საუკეთესო სპორტსმენი ქალი** – ანასტასია გოტფრიდი, ძალოსნობაში ევროპის ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორი, 20-წლამდელებში კონტინენტის პირველობის გამარჯვებული,

8. **საუკეთესო მწვრთნელი** – გიორგი ასანიძე (ძალოსნობა).

სპეციალური პრიზებით დაჯილდოვდნენ:

– საუკეთესო სპორტული მენეჯერი – ფეხბურთის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი ნიკოლოზ ჯღარკავა;

– წლის აღმოჩენა – ნიჩბოსანი ზაზა ნადირაძე, რიოს ოლიმპიადის მეხუთეადგილოსანი,

– საუკეთესო ლეგიონერი – კალათბურთელთა ეროვნული გუნდის კაპიტანი, NBA-ს კლუბ „გოლდენ სტეიტ უორიორზის“ ცენტრი ზაზა ფაჩულია;

– საუკეთესო ახალგაზრდული ნაკრები – მორაგბეთა ახალგაზრდული ნაკრები;

– წლის ბიზნესკომპანია – „სოკარი“;

– საქართველოს საელჩო ბრაზილიის ფედერაციულ რესპუბლიკაში;

– სპორტულ მედიცინაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის – მორაგბეთა ეროვნული ნაკრების ექიმი გიორგი ჭუმბურიძე; საქართველოს ოლიმპიური გუნდის სამედიცინო შტაბი.

ლაშა დიდია

◎ ლეგიონერი

„ლოკომოტივს“ კვირკველია სურს, მაგრამ „რუბინი“ ისევ პრობლემას ქმნის...

საქართველოს ეროვნული ნაკრებისა და ყაზანის „რუბინის“ მცველს სოლომონ კვირკველიას მოსკოვის „ლოკომოტივი“ თავისთან იწვევს. რუსული მედიის ინფორმაციით, დედაქალაქური გუნდი მზადაა 24 წლის ქართველის სანაცვლოდ 3.5 მილიონი ევრო გაიღოს, მაგრამ ჯერჯერობით „რუბინთან“ შეთანხმება ვერ შედგა – ყაზანელები 5 მილიონს ითხოვენ. ამასთან, „რუბინს“ სურს, რომ კვირკველია გაყიდოს და იჯარით მის გაშვებას გამორიცხავს.

„ლოკომოტივის“ მთავარმა მწვრთნელმა იური სიომინმა კი ამასობაში „სპორტ-ექსპრესთან“ საუბარში არც დაადასტურა და არც უარყო კვირკველიასადმი ინტერესი:

„კვირკველია? – დავადასტურებ, რომ ბევრი ფეხბურთელი გვაინტერესებს. გუნდის ხელმძღვანელობას ვუთხარი, რომ მეკარის გარდა ყველა პოზიციაზე გვჭირდება გაძლიერება“, – აღნიშნა სიომინმა.

შეგახსენებთ, სოლომონ კვირკველიას „რუბინში“ არ ათამაშებენ. ქართველმა ფეხბურთელმა მიმდინარე სეზონში ყაზანელთა მხოლოდ ერთ მატჩში მიიღო მონაწილეობა და ისიც – რუსეთის თასზე.

გიორგი ზოთაძე

◎ მოვლენა

ფანცულაიამ კარლსენს მოუგო!

მოჭადრაკეთა მსოფლიო ჩემპიონატზე რაპიდსა და ბლიცში, რომელსაც ყატარის დედაქალაქი დოჰა მასპინძლობს, სენსაციური შედეგი დაფიქსირდა. მისი ავტორი საქართველოს ეროვნული ნაკრების წევრი, ტურნირის მონაწილეთა შორის 56-ე რეიტინგის მქონე ლევან ფანცულაია (2662) გახდა, რომელმაც რაპიდის მეორე ტურში მსოფლიოს მოქმედ ჩემპიონ მაგნუს კარლსენს(2906) მოუგო.

პირველ ტურში ფანცულაია იან ნეპომნიაშჩის(2822, რუსეთი) დაუზავდა, მომდევნო ტურებში ნეპომნიაშჩის თანამემამულეებიდან დმიტრი იაკოვენკოსა(2699) და ევგენი ტომაშევსკის(2710) მოუგო, ხოლო ვლადისლავ არტემიევთან ყაიმი გააკეთა.

ხუთი ტურის შემდეგ ფანცულაიას ოთხი ქულა აქვს და ექვს მოჭადრაკესთან ერთად მეოთხე -მეცხრე ადგილებს ინაწილებს.

რაც შეეხება სხვა ქართველ მოჭადრაკეებს, ბაადურ ჯობავა 3 ქულით 35-ე, გიგა ყუფარაძე 2 ქულით 70-ე, ხოლო მიხეილ მჭედლიშვილი 1,5 ქულით 86-ე ადგილზეა.

ქართველი ქალებიდან საუკეთესო შედეგი ნინო ბაციაშვილსა(2417) და ლელა ჯავახიშვილს (2461)აქვთ, რომლებმაც 4 ტურის შემდეგ 2,5-2,5 ქულა დაგროვეს და შესაბამისად მეექვსე და მეცხრე ადგილებზე იმყოფებიან. 2 ქულით მეცხრამეტეა ნანა ძაგნიძე (2549), სოფო გვეტაძე(2326) 1,5 ქულით 24-ეა, მაკა ფურცელაძე (2359) 1 ქულით 29-ეა, ხოლო მერი არაბიძეს (2395) 0,5 ქულით 32-ე ადგილი უკავია.

კობა კობახიძე

◎ კალათბურთი

NBA-ში უესტბრუკი და ტომასი გამოარჩიეს



ნაციონალური საკალათბურთო ასოციაციის წინა კვირის საუკეთესო მოთამაშეებად დასავლეთ კონფერენციაში ოკლაჰომელი რასელ უესტბრუკი და აღმოსავლეთში „ბოსტონის“ ლიდერი აიზია ტომასი აღიარეს.

გასულ კვირაში უესტბრუკი საშუალოდ ერთ შეხვედრაში 41 ქულას, 10 მოხსნას და 9.8 პასს აგროვებდა, ტომასი კი საშუალოდ ერთ მატჩში 33.3 ქულას და 7.3 პასს აკეთებდა.

ვიტალი ჯაფარიძე

◎ ინტერნეტიდან

ჯესიკას „ალბისელესტეს“ თილისმობა სურს

არგენტინაში ეგზომ პოპულარული ტელეწამყვანი და მოდელი ჯესიკა ჯენეი, შესაძლოა, არგენტინის საფეხბურთი ნაკრების თილისმა და სახე გახდეს. არ იფიქროთ, რომ ამის შესახებ რომელიმე ბულვარული ჟურნალი ან გაზეთი პრივატულად იუწყებოდეს. საქმე ისაა, რომ თავად ჯესიკას გაუჩნდა მსგავსი ამბიციები.

როგორც ეს შხვართთა შორის უშხვართესი ქალი იძახის, მას ძალიან არ მოსწონს ის გოგონები, რომლებიც „ალბისელესტეს“ თილისმობაზე დებენ თავს და ამ დროს არგენტინის ნაკრების სამი ფეხბურთელის ჩამოთვლაც კი არ შეუძლიათ. ჯესიკა ჯენეი თავს ფეხბურთის დიდ მოყვარულად რაცხს და მიაჩნია, რომ სწორედ ის იმსახურებს ნაკრების თილისმობას.

ამასთანავე, აუცილებლად უნდა ითქვას ისიც, რომ ჯესიკა ჯენეი წლების წინათ ცნობილი არგენტინელი მეგოლის მარტინ პალერმოს გულისსწორი იყო. ჯესიკასა და მარტინის ტრფობის ამბავი საქვეყნოდ იყო ცნობილი და ხალხი იმასაც კი იძახდა, ამ დიდებულ ქალს თავღია მარტინი რამ მოაწონაო.

როსტომ რაჭველიშვილი

გალის რაიონი:

განათლება გამყოფ ხაზთან

რუსეთი არა მხოლოდ მავთულხლართების გაბმით ცდილობს კონტაქტისა და ურთიერთდაკავშირების ნებისმიერი მცდელობის აღკვეთას ქართველებსა და ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრებ ადამიანებს შორის, არამედ მშობლიურ ენაზე განათლების მიღების უფლების შეზღუდვის გზითაც. განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობა ამ თვალსაზრისით გალის რაიონშია, სადაც 31 სკოლიდან, რომელთაგან რამდენიმე წლის წინათ 10 ქართული იყო, ახლა არც ერთი აღარ დარჩა და ქართული, ზოგიერთ მათგანში მხოლოდ ცალკე საგნად თუ ისწავლება. შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის სამინისტროში აცხადებენ, რომ ეს დიდი პრობლემაა, რომლის დაძლევასაც სახელმწიფო ამ ეტაპზე ვერ ახერხებს. გაძლიერებულ რუსიფიკაციის პოლიტიკას ოკუპირებულ ტერიტორიაზე წინააღმდეგობას ვერავინ და ვერაფერი უწევს. ერთადერთი პასუხი საქართველოს მხრიდან ის გახლავთ, რომ ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრებ ახალგაზრდებს საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში სწავლის საფასურს სახელმწიფო უფარავს.

ანალოგიური მდგომარეობაა კონფლიქტის ზონაში მცხოვრები მოქალაქეების მიმართაც. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ადგილებზე კვალიფიციური განათლების ხელმისაწვდომობის არარსებობა უარყოფითად აისახება ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები ახალგაზრდების კონკურენტუნარიანობის ხარისხზე, შესაბამისად, მათთვის დაფინანსებული განათლების შემთხვევაშიც კი, რთულია მინიმალური ბარიერების გადალახვა ეროვნულ გამოცდებზე. ამგვარი მდგომარეობა არაერთ ახალგაზრდას, ვინც სკოლას ოკუპირებულ ტერიტორიაზე ამთავრებს, უბიძგებს განათლება რუსულ ენაზე მიიღოს რუსეთის რომელიმე ქალაქში. შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის მინისტრი **ქეთევან ციხელაშვილი** ამერიკის ხმასთან ამბობს: „განსაკუთრებით საყურადღებოა ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრები ადამიანების მდგომარეობა. გალის რაიონის მოსახლეობა, განსაკუთრებულად მძიმე ვითარებაშია. მათი ძირითადი უფლებების შელახვა, სამწუხაროდ, ყოველდღიურ პრაქტიკას წარმოადგენს. იზღუდება ასევე მშობლიურ ენაზე განათლების უფლება და ამ თვალსაზრისით წლიდან წლამდე ვითარება 90-იანი წლებიდან მოყოლებული, უარესდება. ასევე უმძიმესი ვითარებაა სოციალურ-ეკონომიკური და გადაადგილების თავისუფლების მხრივ.“

„ამერიკის ხმასთან“ ნაციონალიზმისა და კონფლიქტების კვლევის ინსტიტუტის თანამშრომელმა ელიკო ბენდელიანმაც ისაუბრა, რომელიც ამბობს, რომ მხოლოდ უმაღლეს სასწავლებლებში სწავლის დაფინანსებით დაინტერესება გალის რაიონის მცხოვრებლებისთვის საკმარისი არაა, რადგან ადგილებზე არსებული რთული ვითარების გამო, ამ ტერიტორიებზე სკოლადამთავრებული მოსწავლეები კონკურენტუნარიანები, ობიექტური მიზეზების გამო, არ არიან: „ოკუპირებულ ტერიტორიებზე, გალში და ახალგორში განსაკუთრებით, შესაძლებლობა არ აქვთ მოსწავლეებს ისწავლონ მშობლიურ ენაზე. ქართული ენის შესწავლის მხრივ ვითარება უფრო და უფრო რთული ხდება და მალე, პრაქტიკულად, ქართული სკოლები გალის რაიონში აღარ იქნება. ეს კი ქართულენოვანი მოსახლეობისთვის პრობლემური საკითხია, რადგან მათ რუსული პროგრამის ათვისება და, შესაბამისად, უმაღლეს სასწავლებლებში ჩაბარება და სწავლა სჭირდებათ. დღეს-დღეობით იმ მოსწავლეებს, ვინც ოკუპირებულ ტერიტორიაზე ამთავრებს სკოლას და ჩააბარებს უნივერსიტეტებში ან საქართველოში აკრედიტირებულ უმაღლეს სასწავლებლებში, სწავლის საფასურს უფინანსებს სახელმწიფო, თუმცა იმისთვის, რომ ეს მოსწავლეები მოხვდნენ უნივერსიტეტებში, აუცილებელია შევთავაზოთ მათ დამატებით პროგრამები, რათა შეძლონ ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩაბარება და ქართულ უნივერსიტეტებში მოხვედრა. ჩემი აზრით, ეს ძალიან მნიშვნელოვანია.“

ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები ადამიანებისთვის მშობლიურ ენაზე განათლების მიღების შესაძლებლობა, რაც საყოველთაოდ აღიარებული უფლებაა, საქართველოს სახელმწიფოსთვის დღემდე მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება.

„Radio Voice of America“
(აშშ)

ტკივილი

ჟურნალისტთა საძმოს დიდი დანაკლისი

ნიჭიერების, სიყვარულისა და ერთგულების ეტალონი იყო ჩვენი უმცროსი კოლეგა და მეგობარი **რუსლან რუსია**. მისი ნაადრევი წასვლა ამქვეყნიდან მართლაც შემზარავი და მოულოდნელი იყო არამარტო ოჯახის წევრებისა და ახლობლებისთვის, არამედ ჟურნალისტთა დიდი საძმოსთვისაც.

სინანულითა და დიდი გულისტკივილით გამოვხატავთ მწუხარებას, ვუსამძიმრებთ მის ოჯახს და კოლეგებს გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკიდან“.

ვალერიან გრძელიშვილი,
გივი ჯაახუა.

კიდევ ერთი სინანული

მუხანათმა ბედმა კიდევ ერთხელ მოიქნია თავისი ავბედითი კუდი და ქართველ ჟურნალისტთა ლეგიონს ერთ-ერთი ბურჯძლიერი საყრდენი გამოაცალა, ჩვენი კოლეგა და მეგობარი, კაცი, რომელიც ნიჭიერების, სიმართლისა და სიყვარულისთვის იყო მოვლინებული ამქვეყნად.

რუსლან რუსია **გამოაკლდა ჩვენს რიგებს! გამოაკლდა ჩვენს სიამაყესა და ყოველ ქართულ ოჯახს, რომელთაც თუნდაც ერთხელ მაინც აუღია ხელში რესპუბლიკის ერთ-ერთი ყველაზე ობიექტური და მართალი სულისკვეთებით გამთბარი გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“. სინანულით ვიზიარებთ შენი ოჯახის უღრმეს მწუხარებას, ჩვენო დიდო და საამაყო ძმაო რუსლან! ქედს ვიხრით შენი ნიჭისა და კალმის წინაშე!**

რამინ ჭელიძე,
ზაურ ფიფია.

ნუცუბიძის ქუჩაზე სამარშრუტო ტაქსს ცეცხლი გაუჩნდა

გუშინ **გამთენიისას ნუცუბიძის ქუჩაზე სამარშრუტო ტაქსს ცეცხლი გაუჩნდა. ამის გამო ნუცუბიძის ქუჩის მონაკვეთი გადაკეტილი იყო. ხანძრის გაჩენის დროს მანქანაში მხოლოდ მძღოლი იმყოფებოდა. მან გადმოსვლა მოასწრო და არ დაშავებულა.**

რამ გამოიწვია ცეცხლის გაჩენა, ამ ეტაპზე უცნობია. საქმეს პოლიცია იკვლევს.

რვა წლის შემდეგ ენგურის ხიდზე ავტობუსით უფასო მგზავრობა აღდგა

რვაწლიანი **წყვეტის შემდეგ ენგურის ხიდზე სამგზავრო მიკროავტობუსის აღდგენას მოსახლეობა პოზიტიურად შეხვდა. როგორც გალელებმა რადიო „თავისუფლებას“ განუცხადეს, მათი მგზავრობა უფრო კომფორტული გახდა, განსაკუთრებით კი გაახარათ იმ ფაქტმა, რომ მომსახურება უფასოა.**

რესპონდენტების თქმით, წლების მანძილზე მთელი ხიდის — დაახლოებით, 2 კილომეტრამდე მანძილის — გავლა ფეხით უწევდათ, რაც ცუდ ამინდში განსაკუთრებით ძნელი იყო, მით უფრო, თუ ამას ტვირთი ემატებოდა. ოკუპირებული რეგიონიდან გადმოსული და, პირიქით, აფხაზეთში მიმავალი მგზავრებისთვის ალტერნატიულ ტრანსპორტად მხოლოდ ოთხთვალა ურმები ითვლებოდა, რომლით გადაადგილება ავადმყოფებისთვის სახიფათოც კი იყო. ამიტომ გალელები ამბობენ, რომ სამგზავრო მიკროავტობუსით მგზავრობის სერვისი მნიშვნელოვანი შვებაა იმათთვის, ვინც ჯანმრთელობას უჩივის და სამკურნალოდ ზუგდიდში გადმოდის.

„ტანჯვა-წვალება იყო ჩვენი. ახლა ეს ძალიან კომფორტულია. მძღოლიც კარგი გვყავს. მადლობელი ვართ მათი, ვინც ეს გაგვიკეთა. ტვირთის გადატანაც შეიძლება — ერთი ჩანთა იქნება თუ ორი. ბაგაჟიც აქვს და ყველაფერი“, — ამბობს გალიდან დევნილი ზოია ბერზენია.

„მოხერხებულია. წვიმაშიც და კარგ ამინდშიც შეიძლება ამით მგზავრობა. ძალიან კარგია“, — გვითხრა გაბო ყოლბაიამ.

„ფეხით ან ცხენით გავდიოდით და გამიხარდა, ეს მანქანა რომ გამოჩნდა. გუშინ გადმოვედი მე აქეთ და იმ ბიჭმა დამიძახა, მოდი, დეიდა, ეს მანქანა უფასოაო, და ძალიან გამიხარდა. მადლობელი ვართ, ვინც ეს გააკეთა“, — ამბობს ასევე გალის რაიონიდან გადმოსული მზია ნარსია.

ავტობუსი ენგურის ხიდზე გაეროს ლტოლვილთა უმაღლესმა კომისარიატმა (UNHCR) დანიშნა. შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრმა ქეთევან ციხელაშვილმა ჟურნალისტებს განუცხადა, რომ ავტობუსის დანიშვნაზე მსჯელობა დიდი ხნის მანძილზე მიმდინარეობდა ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებების ფორმატში და არამხოლოდ.

„ბევრი წელია, ჩვენ ამაზე ვმუშაობთ და მიდის მოლაპარაკებები. მოსახლეობა, რომელიც, ფაქტიურად, ფეხით გადაადგილდებოდა ძალიან გრძელ მანძილზე, მით უმეტეს, ცუდი ამინდის ან ბარგის ქონის პირობებში, ახლა შეძლებს ტრანსპორტით სარგებლობას. ეს არის მნიშვნელოვანი ჰუმანიტარული გადაწყვეტილება“, — განაცხადა ქეთევან ციხელაშვილმა.

ტრანსპორტი დილის რვა საათიდან საღამოს რვამდე მუშაობს. მას მგზავრები ნახევარსაათიანი შუალედით ხიდის თავში მდებარე აფხაზეთის ე. წ. გამშვები პუნქტიდან ხიდის ბოლომდე, ანუ ქართულ საგუშაგომდე, მოჰყავს და პირიქით. მგზავრებს უფლება აქვთ მცირე ტვირთიც გადაიტანონ — იმდენი, რომ დისკომფორტი არ შექმნას ტრანსპორტში.

დიდი მოცულობით ტვირთის გადაზიდვას მოსახლეობა კვლავ ოთხვალა ურმებით ახერხებს. ამიტომ, სამუშაოს გარეშე არც ურმების მეპატრონეები დარჩნენ. ერთ-ერთმა მათგანმა რადიო „თავისუფლებასთან“ საუბარში აღნიშნა, რომ მოქალაქეები უკვე ოთხთვალათი არ სარგებლობენ, თუმცა ჩანთებს მათთან ალაგებენ და მცირე მოგება მაინც რჩებათ. ურმის მეპატრონის თქმით, ერთი საშუალო ზომის ჩანთაში 1 ლარის გადასახადია დაწესებული. სულ, ჯამში, ენგურის ხიდზე 7 ოთხთვალა გადაადგილდება.

აფხაზეთის ომის შემდეგ ოკუპირებული რეგიონიდან დანარჩენ საქართველოში გადმომსვლელებს წლების მანძილზე გაეროს დახმარებით ავტობუსი ემსახურებოდა, მაგრამ 2008 წლის შემდეგ ეს სერვისი აღარ მოქმედებდა.

თამარ ზანთარაია

საქართველოს ბანკის ექსპრეს ფილიალი გაძარცვეს!

ყაჩაღობა **გლდანში — მეოთხე მიკრორაიონში მდებარე ექსპრეს ფილიალს თავს დაესხნენ.**

გავრცელებული ინფორმაციით, ბანკში ორი სამედიცინო ნიღბიანი პირი შეიჭრა. წაღებულია თუ არა თანხა — არც ბანკი და არც შინაგან საქმეთა სამინისტრო ამ თემაზე ინფორმაციას არ ავრცელებენ.

სამართალდამცველები გლდანში მომხდარ ყაჩაღობაში ეჭვმიტანილებს ამ დრომდე ეძებენ. გამოძიება ყაჩაღობის მუხლით მიმდინარეობს.

მარნეულში ცოლმა ქმარი მოკლა!

გავრცელებული **ინფორმაციით, მარნეულის მუნიციპალიტეტის სოფელ თაზაქენდში ცოლმა ოჯახური კონფლიქტის დროს 28 წლამდე მეუღლე ნაჯახით მოკლა.** ეჭვმიტანილი დაკავებულია. მომხდარზე საქმე სსკ 11-108 მუხლითაა აღძრული, რაც ოჯახში ძალადობის ნიადაგზე ჩადენილ განზრახ მკვლელობას გულისხმობს.

ამერიკის ახალი პრეზიდენტი გაეროს ამასხარავებს!

აშშ-ის ახლად არჩეული პრეზიდენტის შეფასებით, გაერო წარმოადგენს კლუბს, სადაც ხალხი ერთმანეთს ხვდება და დროს სასიამოვნოდ ატარებენ.

დონალდ ტრამპის თქმით, სამწუხაროდ, გაერო არ იყენებს იმ პოტენციალს, რომელიც გააჩნია.

აშშ-ის ახლად არჩეულმა პრეზიდენტმა 24 დეკემბერს გაეროს უშიშროების საბჭოს ისრაელთან დაკავშირებულ რეზოლუციაზე ვეტოს დადებისკენ მოუწოდა და განაცხადა, რომ 20 იანვრის შემდეგ „გაეროსთან“ დაკავშირებით ყველაფერი შეიცვლება“.

ბაქოში გაზსადენი აფეთქდა

გუშინ დილით, აზერბაიჯანში, ბაქო-ალიატის გაზსადენის მონაკვეთზე, აფეთქება მოხდა, რამაც ძლიერი ხანძარი გამოიწვია. შემთხვევის ადგილზე სახანძრო სამსახური და სამაშველო ბრიგადებია მობილიზებული. აფეთქების მიზეზი ამ დრომდე უცნობია. ინციდენტის შედეგად არავინ დაშავებულა.

მასობრივი ქორწინება ინდოეთში

გუჯარათის შტატში ერთდროულად 236-მა წყვილმა იქორწინა. სადღესასწაულო ღონისძიება ადგილობრივი ბიზნესმენის მახეშ სავანის მიერ იყო ორგანიზებული. ანალოგიური ღონისძიება მან 2008 წელსაც გამართა. ახლადდაქორწინებული გოგონების უმრავლესობა ობოლია. მათზე მზრუნველობა ბიზნესმენმა საკუთარ თავზე აიღო.

წყალდიდობა არგენტინაში – სტიქიის ზონა 600-მდე ადამიანმა დატოვა

უამინდობაა არგენტინაშიც. ქვეყნის ჩრდილოეთ პროვინციებში ხანგრძლივმა სეზონურმა წვიმამ მდინარეების ადიდება გამოიწვია, რის შედეგადაც ათობით დასახლებული რაიონი დაიტბორა. სტიქიის ზონიდან 600-მდე ადამიანის ევაკუაცია განხორციელდა. ინფორმაცია მსხვერპლის შესახებ არ გავრცელებულა.

კორეაში 26 ათასი სული ფრინველი გაანადგურეს

სამხრეთ კორეაში ქათმის გრიპის ეპიდემიას ებრძვიან. ეიჩ-5 შტამის ვირუსი რამდენიმე ფერმაში გამოავლინეს. პრევენციული ღონისძიებების ფარგლებში სანიტარიულმა სამსახურმა 26 ათასამდე სული ქათამი და იხვი გაანადგურა, რის შედეგადაც ქვეყანაში ფრინველის ხორცი და კვერცხი კატასტროფულად გაძვირდა.

გაეროს გენერალურ მდივანს პრეზიდენტობა სურს

პან გი მუნი სამხრეთ კორეის ვადამდელ საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობის შესახებ განცხადებას სავარაუდოდ იანვრის დასაწყისში გააკეთებს. ამის შესახებ სააგენტო ონჰაპი იტყობინება. გაეროს გენერალური მდივნის უფლებამოსილება მუნს იანვარში ეწურება. მას ანტონიო გუტერიში შცვლის.

ალერგიისა და ასთმისგან დამცველი

ევროპის მეცნიერულმა საზოგადოებამ მოულოდნელი განცხადება გაავრცელა: **მათ, ვისაც შინაური ცხოველი ჰყავთ, სიცოცხლის ბოლომდე მაღალი იმუნიტეტი აქვთ.**

გამოკვლევაში 26-დან 54 წლამდე ასაკის ადამიანები მონაწილეობდნენ, რომლებიც ჯერ შინაური ცხოველის ყოლაზე გამოკითხეს, შემდეგ კი იმუნური სტატუსი შეუმოწმეს.

აღმოჩნდა, რომ მათ, ვისაც ბავშვობაში ძაღლი ჰყავდა, ან ახლა ჰყავს, ალერგიის განვითარების ალბათობა 57 პროცენტით ნაკლები აქვთ იმათთან შედარებით, ვისაც ცხოველი არ ჰყოლია. გარდა ამისა, ასეთ ხალხს 54 პროცენტით ნაკლები საფრთხე ელით ასთმის წარმოშობის მიმართვაც.

აღმოჩნდა, რომ იმუნიტეტის ასეთ წვრთნას ხელს უწყობს სხვადასხვა მიკრობებთან გამუდმებული კონტაქტი, რომელიც ცხოველებს ჰყავს.

ტრაპეზი ესპანურად

რა არის ტრაპეზი ესპანურად? ოხშივრიანი პაელია, არომატული სანგრია და, რაღა თქმა უნდა, პიკანტური მწვანე ზეთისხილი, რომელსაც ხმელთაშუა ზღვისპირელები თავიანთ დღეგრძელობისა და სიცოცხლის ხალისს უნდა უმადლოდნენ.

მწვანე ზეთისხილის მთავარი სიმდიდრე ზეთია, რომლის შემცველობა ნაყოფებში 50-80 პროცენტამდე აღწევს. თანაც, რაც უფრო მეტად მწიფეა ზეთისხილი, მით უფრო მეტ ცხიმის მჟავებს შეიცავს ის, რომლებიც აუცილებელია სისხლში მავნე ქოლესტერინის დონის შესამცირებლად, მაშასადამე ათეროსკლეროზისგან ჩვენი გულის სისხლძარღვთა სისტემის დასაცავად და მისი პროფილაქტიკისთვის.

ზეთისხილის ზეთი ხელს უწყობს საჭმლის მონელებასა და აუმჯობესებს მადას. ამიტომაც მათ ხშირად სადილის ან ვახშმის დაწყებამდე მიირთმევენ. მაგრამ, **თუკი ყოველ დღეს 10 ზეთისხილს მიირთმევთ, გასტრიტისგან და კუჭის წყლულის წარმოშობისგან**

თავის დაცვა შეგიძლიათ.

ზეთისხილი ხელს უწყობს ორგანიზმში ნებისმიერი მომწამლავი ნივთიერების გაუვნებელყოფას. ამიტომაც, მათი ნებისმიერი სასმელის, მათ შორის კოქტეილის, საუცხოო დანამატადაა მიჩნეული. ისინი არა მარტო მშვენივრად გამოყოფენ სასმლის გემოს, არამედ დილის „პახმელიის“ სიმძაფრესაც „არბილებენ“.

◎ანეკდოტები

ორი ღატაკი იმერელი მეგობარი საუბრობს, თან ორივე ერთ სიგარეტს ეწევა:

— მითხარი ერთი, ჩემო გერასიმე, რაფერ მეიქცეოდი იმდენი ფული რომ გქონდეს, ახლა ტრამპს რომ აქვს?

— მაი კი არა, ჩემო ალმასხან, მე იგი მეინტერესება, იგი ტრამპი რას მეიმოქმედებდა მაგასაც იმდენი ფული რო ქონდეს, მე რომ პენსიას მაძლევენ?!

* * *

რესტორნის მეტროტელი ტუქსავს ოფიციანტს:

— რასაა რომ სჩადიხართ, ახალგაზრდავ? რას დაობთ, განა არ იცით, რომ ჩვენს რესტორანში კლიენტი ყოველთვის მართალია?

— კი ვიცი, პატივცემულო, მაგრამ, რა ვქნა, ეს ბატონი იმას მედავება — თქვენ კი არა, გინდა თუ არა, მე თავად ვარ დამნაშავეო!

* * *

კიოსკთან გაზეთების საყიდლად მისულ კაცს ხურდა ფული არ აღმოაჩნდა, რის გამო ძალიან შეწუხდა და, იმის გამო, რომ ქაღალდის კუპიურას ვერ უხურდავებდა, გამყიდველმა კომპრომისი გამონახა:

— არა უშავს, ბატონო, გაზეთები ნისიად წაიღეთ, ფული კი ხვალ მომიტანეთ. ამით არაფერი დაშავდება.

— დიდი მადლობა, გენაცვალე, მაგრამ ამაღალ რომ მოვკვდე?

— ნურც მაგის დარდი გექნებათ, არც მაგით გაფუჭდება რამე!

* * *

დედა ეუბნება გამოპრანჭულ და სახლიდან გასავარდნად გამზადებულ მოზარდ ქალიშვილს:

— დედიკო, არ შეიძლება ყოველდღე დისკოთეკაზე სიარული! იცოდე, იმ ხმაურში შეიძლება დაყრუვდე!

— გმადლობ, დედიკო, დისკოთეკის ფული მამამ უკვე მომცა, მე კი თერთმეტ საათს არ გადავაცილებ!

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
სულხან-საბას ქ. №3

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ძობულია
293-13-34
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;
რუსლან რუსია
599 17-21-21;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება გამომცემლობა „კოლორში“
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს—323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

„საქართველოს რესპუბლიკა“ შენი გაზეთია, აუცილებლად გამოიწერე, იყიდე, წაიკითხე!

უცხოური ვალუტის კურსი:

აშშ დოლარი - 2.7302; ევრო - 2.8520;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.3505;
100 რუბლი - 4.4887; თურქული ლირა - 0.7780;
აზერბაიჯანული მანათი - 1.4909;
1000 სომხური დრამი - 5.6643.

ამინდი 28 დეკემბრისთვის

აღმოსავლეთი საქართველო:		
ბარი -	ღამე -5	დღე +8
მთიანი რაიონები -	ღამე -10	დღე +5
დასავლეთი საქართველო:		
ბარი -	ღამე +1	დღე +9
მთიანი რაიონები -	ღამე -5	დღე +10
თბილისი:	ღამე -2	დღე +7

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 293-13-34, 599-79-76-79
WWW.SAKRESP.GE